ორკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 12 10 აგვისტო 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: პროფესიონალური კავშირები და ნაციონალური საკითხი.—გზა-და-გზა.—სხვა-და-სხვა ამბები ჩვენში. —რუსეთში.—ოსმალეთში.—სპარსეთში.—ობლათ დავძრწოდი (ლექსი), **ბაბ—ისა**.—ამონაკვნესი (ლექსი), ***.—მცირე შენიშვნა, **ტრამვაიელისა**.—დედები მოთხრობა, **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი**.—ამერიკელ სოციალისტების პარტაიტაგიდან, **მ. მგალობლიშვილისა**.—პროვინცია.—დედა, როგორც აღმზრდელი, **ჰენრიხ შულცესი**. თარგმ. გერმანულიდან **სვ. კანდ—ისა**.—წერილი რედაქციისადმი.—განცხად.

პროფესიონალური კავშირები და ნაციონალური საკითხი.

დიდ სიდუხჭირეს განიცდიან დღეს პროფესიონალური კავშირები, მათ თავს ატყდებათ ათასგვარი დევნა, შევიწროება და რეპრესიები როგორც ადმინისტრაციისა, ისე ხაზეინებისაგან, მარა მუშა ხალხის „ჭირისუფალნი“ ყველა ამას მაინც არ სჯერდებიან და კიდევ ახალ-ახალ საშუალებებს ეძებენ მათ გასანადგურებლათ. ერთი ასეთი საშუალებაა მუშათა შორის ნაციონალურ შუღლის დათესვა, ნაციონალურ განხეთქილების ჩამოგდება. ეს, რა თქმა უნდა, ახალი გამოგონება არ არის, მარა დღეს იგი უფრო მარჯვეთ იხმარება, რადგან, მას შემდეგ, რაც ბიუროკრატია უკანასკნელ ხანებში ასეთ გაშმაგებით აწარმოებდა ნაციონალურ დევნის პოლიტიკას, ეხლა თვით მუშათა შორის ერთობ გაღიზიანებულია ნაციონალური გრძნობა, მუშების რაიმე ადგილობრივ უთანხმოებას, რასაც ნამდვილათ არავითარი კავშირი არა აქვს ნაციასთან, ადვილათ ეძლევა ნაციონალურ განხეთქილების ფორმა და მოუმზადებელი მუშები მით უფრო ადვილათ ებმებიან ნაციონალისტების მახეში.

ამ დღეებში გაზ. „Рѣчь“-ს პოლონეთიდან ატყობინებდენ ასეთ შემთხვევას. ვარშავაში უკვე სამი წელია არსებობს საკმაოთ ღონიერი კავშირი პურის მცხობელ მუშებისა. კავშირმა გაუძლო რიგორც ხაზეინების ლოკაუტებს, ისე ადმინისტრაციის დევნას, მარა აი ეხლა უცბათ გაჩაღდა აგიტაცია: პოლონელ მუშებს არ შეუძლიანთ ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებდენ პოლონელ ხალხისა და კათოლიკურ ეკლესიის მტრებთან (ებრაელებთან, ნემცებთან და სხ.)“ ამ აგიტაციამ შედეგათ ის მოიტანა, რომ კავშირს გამოეყო ერთი ნაწილი მუშების, რომელთაც დაარსეს ცალკე ახალი „ქრისტიანული კავშირი პოლონეთის სამეფოს ფქვილის წარმოების მომუშავეთა“. ამას, რასაკვირველია, უმალვე ებოძა კანონის მფარველობა, ხაზეინებიც მხოლოთ ამ ახალ ორგანიზაციას სცნობენ კანონიერათ, ხოლო ძველ კავშირს უარჰყოფენ და მასთან არავითარ საქმეს აღარ იჭერენ. გათიშულ მუშათა შორის მალე მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე მუშა და მრავალიც დაპატიმრებულ იქმნა, და ასე პურის მცხობელ მუშათა კავშირს, სადაც ითვლებოდა 4000 წევრი, დღეს სრული დაღუპვა უქადის.

ეს შემთხვევა არ არის გამონაკლისი. მსგავსი მოვლენები, უკვე კარგა ხანია, ჰხდება იმპერიის ყველა იმ

კუთხეებში, სადაც კი ერთ ტერიტორიაზე არეული არიან სხვა და სხვა ნაციის მუშები. ჩვენში, მართალია, ნაციონალისტური ბრძოლა ჯერ კიდევ არ ყოფილა თვალსაჩინოთ გადატანილი პროფესიონალურ კავშირებში, მარა დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის შესატყობათ, რომ არც ჩვენა ვართ დაზღვეული ამ გვარ, ნაციონალისტურ განსაცდელისაგან. უკვე მეოთხე წელიწადია, რაც ჩვენში მოქმედებს „დაშნაკცაკანების პარტია, რომელსაც, ფარულათ თუ აშკარათ, მარა იმ თავიდანვე ბეჯითად შეაქვს პროფესიონალურ კავშირებში ნაციონალური პრინციპი; ისინი ცალკე მიერეკებიან სომხის მუშებს და ცალკე, დამოუკიდებელ პროფესიონალურ კავშირებს ადგენენ. ამ მიმართულებით მოქმედება ერთობ დიდ განსაცდელს უმზადებს ჩვენებურ მუშათა მოძრაობას. საჭიროა ამას აქედანვე მივაქციოთ სათანადო ყურადღება; საჭიროა მუშათა პროფესიონალური კავშირები გავაფრთხილოთ დამლუპველ შეცდომებისაგან, საჭიროა აქედანვე განუმარტოთ თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ მათ ნაციონალურ საკითხთან და რა ადგილი უნდა მისცენ თავიანთ ორგანიზაციაში ნაციონალურ პრინციპს.

ყველამ კარგათ იცის, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები შენდება პროფესიების, ხელობის თუ წარმოების დარგების მიხედვით. ხოლო იქ, სადაც ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სხვა და სხვა ნაცია ბინადრობს, ცხადია, ერთსა და იმავე პროფესიაში თუ წარმოებაში ერთათ იქნებიან არეულნი სხვა და სხვა ნაციის მუშებიც. და თუ მუშები შეკავშირდებოდენ იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ ნაციას ეკუთვნის, ამით, რასაკვირველია, უარყოფილი იქნებოდა **პროფესიონალური** ორგანიზაცია. ასე რომ ნაციონალურ პრინციპის შეტანა პროფესიონალურ კავშირებში ეწინააღმდეგება თვით ამ კავშირების ორგანიზაციურ ბუნებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. მარა აქ წინააღმდეგობაა არა მარტო ფორმალური, არამედ აგრეთვე არსებითი. ნაციონალურ პრინციპის შეტანა პროფესიონალურ ორგანიზაციებში ეწინააღმდეგება თვით იმ მიზნებს, რასაც ეს უკანასკნელი ემსახურება. პროფესიონალურ კავშირების პირდაპირი და უახლოებელესი მიზანია ეკონომიურ ბრძოლის წარმოება შრომის ყოველ დღიურ პირობების გასაუმჯობესებლათ. აქ გამარჯვების შანსები იმდენათ უფრო მეტია, რამდენადაც უფრო ძლიერია კავშირი, როგორც თავის წევრთა რაოდენობით, ისე თავის კასის მდგომარეობით. საჭიროა ერთობა პროფესიაში და პროფესიათა შორის. რამდენათაც დიდ ტერიტორიას სწვდება პროფესიონალური ორგანიზაცია, იმდენათ იგი უფრო ადვილათ და უკეთ ემსახურება თავის ინტერესებს. თუ ორგანიზაციის მოქმედება შემოფარგლულია ჰატარა ტერიტორიით, მაგ. საკმაოა გაჩნდეს რაიმე სამრეწველო კრიზისი, რომ მთელი ორგანიზაცია და ყველა მუშებიც უნუგეშო მდგომარეობაში ჩაცვივდენ, მაშინ როდესაც დიდ ტერიტორიაზე, თუ ერთ კუთხეს ეწვევა კრიზისი, დანარჩენი კუთხეები ნორმალურ ან უფრო უკეთეს პირობებში იქნებიან და გაჭირვებაში მყოფ მუშებს დაეხმარებიან შედარებით უკეთეს პირობებში მყოფი ამხანაგები. რამდენათაც დიდ ტერიტორიას სწვდება ორგანიზაცია, მდენათ უფრო ადვილი ხდება მუშათა ურთიერთშორისი შემწეობა, უმუშევართათვის საქმის შოვნა თუ ნივთიერი დახმარების აღმოჩენა და სხ. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ ორგანიზაცია უნდა იყოს ტერიტორიალური და არა ნაციონალური.

გარდა ამისა, რადგან ყველა კავშირები არ შეიძლება იყვენ თანაბარი ძალ-ღონისა, ერთი უფრო ღონიერია და შეძლებული, მეორე უფრო სუსტი და ხელმოკლე, ერთი კუთხის ორგანიზაციები შეიძლება უკეთეს პირობებში იყვენ ვინემ მეორე კუთხის ორგანიზაციები, და რომ მდარე პირობებში მყოფთ კარგათ ჩაატარონ რაიმე ეკონომიური ბრძოლა, მათთვის მიუცილებლათ საჭიროა უკეთეს პირობებში მყოფთა დახმარება, აი ამიტომ უაღრესათ საჭიროა არსებობდეს ერთი ცენტრალური კასსა, რომელსაც უნდა ასაზრდოებდენ ყველა პერიფერიების ორგანიზაციები, ე. ი. საჭირო არის **ფინანსების ცენტრალიზაცია.** ამასთანავე, თქმა არ უნდა, რომ ყოველი ცოტათ თუ ბევრათ სერიოზული ბრძოლა ხშირათ ითხოვს არა ერთი და ორი პროფესიონალურ კავშირის ამოძრავებას, არამედ მთელ პროფესიის ანუ რამდენიმე პროფესიის გამოსვლას; ზოგჯერ საქმეში ერევა მთელი რაიონი და ხან კი მოძრაობა ვრცელდება მთელ ტერიტორიაზეც; ყველა ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენათ დიდი მოთხოვნები, დიდი მიზნებია წამოყენებული და რამდენათ სერიოზულია ბრძოლა, რამდენათ ხელსაყრელია გარემოება. ყველა ასეთ სერიოზულ შემთხვევაში კი მუშათა გამარჯვების აუცილებელი პირობაა მწყობრი მოქმედება, ერთიანი ტაქტიკა, ერთნაირი პროფესიონალური პოლიტიკა; ეს კი უეჭველათ ითხოვს, რომ პროფესიონალურ ორგანიზაციებში გატარებულ იქმნას მთელ **მმართველობის ცენტრალიზაცია.**

მაგრამ ზემო ნათქვამიდან იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომ პროფესიონალური კავშირები სახელმწიფოშიაც მომხრენი უნდა იყვენ ცენტრალიზაციისა, ასეთი დასკვნა დიდი და შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა. პროფესიონალური მოძრაობა და სახელმწიფოს განვითარება სრულიად სხვა და სხვა კანონებს ემორჩილება. რამდენათაც პირველში მიუცილებელია და სასარგებლო ცენტრალიზაცია, იმდენათ მეორეში ეს მავნებელია და დამღუპველი. რას ნიშნავს, რა არის ცენტრალიზაცია სახელმწიფოში?—ეს არის უარყოფა სახელმწიფო ცხოვრების იმ დემოკრატიზაციისა, ურომლისოთაც შეუძლებელია განვითარდეს ხალხის თვით-მოქმედება, შეუძლებელია გზა გაეხსნას ქვეყნის შემოქმედებით ძალებს, შეუძლებელია გამოცეს რაიმე ეგრე წოდებული „სოციალური კანონები“ და განხორციელდეს რაიმე თვალსაჩინო სოციალური რეფორმები; ერთი სიტყვით, შეუ-

ძლებელია შრომის პირობების რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესება. აი ამიტომ პროფესიონალურ კავშირების პირდაპირი ინტერესია სახელმწიფოს ცენტრიდან, რაც შეიძლება, მეტი უფლებები იქმნას გადმოტანილი პერიფერიებში და მთელ ტერიტორიაზე: ოლქებში, გუბერნიებსა, ბაზრებსა, ქალაქებსა და სიფლებში; ე. ი. მოხდეს სახელმწიფო **დეცენტრალიზაცია,** ისე კი, რა თქმა უნდა, რომ არ დაირღვეს სახელმწიფოს განსაზღვრული ერთიანობა. (სახელმწიფოებრივი სარტყელი მიუცილებელი საჭიროებაა კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებისათვის). ამიტომაც პროფესიონალური კავშირები ენერგიული მომხრე უნდა იყვენ განხორციელდეს **ფართე ადგილობრივი, დემოკრატიული თვითმართველობა.** და ეს, რა თქმა უნდა, მაშინაც კი, თუნდ სახელმწიფოში ბინადრობდეს ერთათ ერთი ნაცია.

მოხსენებულ ადგილობრივ თვითმართველობას ანუ, როგორც ჩვენში ხშირათ ამბობენ ხოლმე, ფართე საოლქო დემოკრატიულ თვითმართველობას, თითქმის არაფერი საქმე არა აქვს ნაციონალურ საკითხთან. მარა ამ საკითხთან დიდი საქმე აქვს პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

ჩვენ ზევით უკვე შევნიშნეთ გაკვრით თუ ამ უკანასკნელთათვის რა დიდ განსაცდელს, რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს ნაციონალური განხეთქილება, ნაციონალისტური ოინები და საზოგადოთ ნაციონალური ბრძოლა, რაიც განუყრელათ თან სდევს ნაციონალურ ჩაგვრა-მონობას. ამასთანავე, რადგან მუშები თვითონ შეადგენენ ნაწილს თავიანთ ნაციისას, ცხადია, იგინი თავის თავზედაც განიცდიან ნაციონალურ მჩაგვრელობას. ასე რომ პროფესიონალური კავშირები ორკეცათ არიან დაინტერესებული ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტაში. როგორც გაბატონებულ, ისე დაჩაგრულ ნაციის მუშების პირდაპირი ინტერესია აილაგმოს გაბატონებულ ნაციის დამჩაგვრელ-შემავიწროებელი, მტაცებლობის პოლიტიკა და ისე მოეწყოს დაჩაგრულ ნაციის ბედიღბალი, რომ უზრუნველ-ყოფილი გახდეს მისი ნაციონალური თვითარსებობა და ნაციონალურ-კულტურული განვითარება. ამისთვის კი საჭიროა დაჩაგრულ ნაციას მიენიჭოს განსაზღვრული **პოლიტიკური უფლებანი, მთელი წყება პოლიტიკურ უფლებათა, ე. ი. ავტონომია.** თანამედროვე პირობებში, რუსეთისთვის **ნაციონალურ საკითხის გადაჭრა გარეშე ავტონომიისა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.** აი ამიტომ, პროფესიონალური კავშირები ენერგიული მომხრე უნდა იყვენ განაპირა ქვეყნებისა და ცალკე ნაციების ავტონომიისა.

მაშ ასე, ცენტრალიზაცია და ერთიანი ორგანიზაცია პროფესიონალურ შეკავშირებაში, დეცენტრალიზაცია და ავტონომია სახელმწიფოში. აი გზა და ხიდი პროფესიონალურ მოძრაობის სავლელათ.

ჩვენ დაგვრჩა კიდევ ერთი პატარა საკითხი. პროფესიონალური კავშირები ეწევიან არა მარტო ეკონომიურ ბრძოლას, აწარმოებენ არა მარტო პროფესიონალურ, მუშათა პოლიტიკას, არამედ აგრეთვე ესწრაფიან თავის ყოველ-დღიურ მოქმედებით აღამაღლონ თვისი წევრები მორალურათ და იდეიურათ, ე. ი. კავშირებს აქვთ აგრეთვე წმინდა განმანათლებელი მიზნები. როგორ უნდა იქცეოდეს კავშირი, როცა მის წევრებმა საათანადოთ არ იციან ერთმანეთის ენა, და მათ მოეპოვებათ სხვა და სხვა ნაციონალური ლიტერატურა და სხ.? ასეთ შემთხვევაში კავშირი, რასაკვირველია, ხსნის საჭიროების და გვარათ, ნაციონალურ სექციებს. ეს, თუ გნებავთ, ერთგვარი „ნაციონალური ავტონომია“ იქნება პროფესიონალურ კავშირებში. მარა ეს სრულებითაც არ ნიშნავს ერთიან ორგანიზაციის დარღვევას. „სექცია“ ემსახურება მხოლოთ და მარტო განმანათლებელ მიზნებს და ყველაფერში კი ექვემდებარება ერთიან პროფესიონალურ კავშირს.

ასეთია მოკლეთ ის პირობები, რომელიც უნდა დაიცვან ჩვენმა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა, რათა განამტკიცონ თვისი არსებობა და უზრუნველჰყონ ძლევამოსილი მსვლელობა საბოლოო მიზნისაკენ.

ზზა-და-ზზა.

I.

სოც. ფედერალისტები ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენი ორგანოს გამოსვლის უმალვე—გეხსომებათ—სოც. ფედერალიტებმა ჩვენსკენ ისროლეს მომჟავ-მოტკბილო კომპლიმენტები. ჩვენ იმ თავიდანვე ვიცოდით, რომ მათი „ამბორი“ „ბოლოს გესლათ მათივე გმობით შეგვეცვლებოდა“, და აი ეხლა ეს უკვე აგვიცხადდა.

„ამირანი“ იწყებს იმით, რომ ჩვენზე შენიშნავს: „როგორც ქართველი ადამიანის ზარმაც ბუნებას შეეფერება... არა ჩქარობს პროცესის გათავებას; თითქოს დაბადების და გამოჩეკის პროცესსი ამ ახალ მერცხლებს რაღაც სიტკბოებათ გადექცათო, ისე მძიმეთ და ზანტათ არკვევენ ისინი თავიანთ ფიზიონომიას“. ამას გვისაყვედურებს ჩვენ ის პარტია, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე და ჯერაც თავისი თავი საბოლოოთ ვერ გამოურკვევია. საოვალავში რომ არ მივიღოთ ის განკერძოებული, სხვა და სხვა ელემენტები, რომელნიც დაფუსფუსებენ სოც. ფედერალისტთა ბანაკში, როგორიც არიან მაგ. „ანარქისტები“, ლიბერალები, „სინდიკალისტები“, სოციალისტ—ეტატისტები, „ბლანკისტები“, ძველი სარჩულის ნაციონალისტები და სხ., სახეში რომ არ მივიღოთ სოც. ფედერალისტების ეს ჭრელი ხალხი, ვინ არ იცის, რომ ეს პარტია (ს. ფ.) დღეანდლამდე თავის წიაღში ატარებს ორ სხვა და სხვა მიმდინარეობას, ორ სხვა და სხვა პარტიას, ესენია: ნაციონალ-დემოკრატები და სოციალისტ-იდეალისტები თუ ეკლექტიკები. და როცა სოც. ფედერალისტების პარტია გვიკიჟინებს: ზანტათ

არკვევთ თქვენს ფიზიონომიასო, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მას შევუძახოთ: „განიკურნე შენ თვითონ“! აღნიშნული მათი საყვედური მით უფრო უადგილოა, რომ ჩვენ ამ ორგანოს პირველი №№-დანვე დავასახელეთ ჩვენი profession de foi და განუსაზღვრეთ საერთო მოხაზულობა ჩვენი ნაციონალურ პროგრამისა.

ამას წინათ ჩვენ ვწერდით, რომ თუ ამ ქვეყნის სოც დემოკრატიას დღევანდლამდე არ მიუღია სათანადო ნაციონალური პროგრამა, ამის ერთ ერთი მიზეზი დაფარულია იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა და სწარმოებს ს. დემოკარტებსა და სოც. ფედერალისტებ შორისო. ეს შენიშვნა ძალიან სწყენიათ ს. ფედერალისტებს; მაშ ჩვენა ვყოფილვართ დამნაშავე, ჩვენს კრიტიკას შეუფერხებია თქვენი საქმე?! აი უშველებელი, უცნაური და გასაშტერებელი ბრალდებაო, შფოთავს „ამირანი“ და მოგვმართავს: თქვენც ისევე წინააღმდეგი ჰყოფილხართ კრიტიკისა, როგორც პეტერბურგის კამარილიის კაცები, რომელნიც გაიძახიან მემარცხენეთა კრიტიკა აგვიანებს რეფორმების გატარებას ცხოვრებაში და სხ. შემდეგ „ამირანი“ პაფოსით განაგრძობს:

„რა განსხვავებაა რეპტიელების და „ჩვენი კვალის“ ლოგიკის შუა? არაფერი! იმის მეტი, რომ პირველთ თავის მიმართულებისა და აზრისა არ ეშინიანთ და სიტყვის თავისუფლებას ჰგმობენ, „ჩვენი კვალი“ კი ამდენ გამბედავობას ვერ იჩენს. მეტად საინტერესო და საგულისხმოა ამ უცნაური ლოგიკის სარჩული. ეს ლოგიკა იგულისხმებს ორს, ერთი ერთმანეთზე საზარელს პრინციპს: პირველი პრინციპია — ჩემს შემდეგ თუნდა წარღვნა, მეორე პრინციპია — ყველაფერი ჩემგან, ხოლო ჩემს გარეშე კი არაფერიო“!

„ამირანი“ ტყუილათ ვარდება დრამატიზმში. საკითხი უფრო ადვილათ და მარტივათ არის გასაგები. ჩვენ, რასაკვირველია, აზრათ სრულებითაც არ გვქონია კრიტიკის წინააღმდეგ წასვლა და ან სოც. ფედერალისტების დამცირება თუ დამნაშავეთ გამოყვანა. ჩვენ მხოლოთ აღვნიშნავდით უბრალო, თითქმის ყველასათვის ადვილათ დასანახ ფაქტს: რადგან მოწინააღმდეგეთა ბანაკი (სოც. ფედერალისტები) გაშმაგებით იცავდენ ავტონომიის პრინციპს, ამიტომ გულუბრყვილო ამხანაგები (ს. დ.) თავის თავათ მიდრეკილი ხდებოდენ ამ ავტონომიაში რაღაც საშინელება დაენახათ, ავტონომიის აღიარება პარტიის დაღუპვისთვის დაედარებინათ, ხოლო ცენტრალიზმი კი ბუნებრივ და აუცილებელ ნუგბარათ წარმოედგინათ. ასეთი პსიხიური განწყობილება, რა თქმა უნდა, ძალიან შეაფერხებდა და გააძნელებდა სათანადო ნაციონალურ პროგრამის შემუშავებას. აქ „ამირანი“, კვლავ პირველულობს: ჩვენ რა შუაში ვართ, ეგ თქვენი „ფანატიკოსური ჯიუტობის“ ბრალია, იმ ჯიუტობისა — „განმარტავს“ გაზეთი — „რომელიც ქართველ სოც. დემოკრატებს აფიქრებინებს, ვითომ მათ და მარტო მათ ეკუთვნოდეს მონოპოლია ხალხის სხვა და სხვა საჭიროებაზე მზრუნველობისა“. და ბოლოს „ამირანი“ მწუხარეთ მაგრამ დაბეჯითებული კილოთი ღაღადებს: „სამწუხაროა და საეჭვალარ, რომ ჩვენი სოც. დემოკრატები ასეთ მზრუნველობის ანუ ოპეკუნობის ფუნქციას ითვისებენ და მით ხალხის თვით მოქმედებას ჰბოჭავენ ბიუროკრატიულ რეჟიმის მსგავსათ“. ეს სოც. ფედერალისტების ჩვეულებრივი ლათაიებია, ფუყე, უშინაარსო როტვაა. თუ კი სოც. დემოკრატია ჰბოჭავს ხალხის თვით მოქმედებას, მაშ ბიუროკრატიული რეჟიმი კიდევ ფართე ასპარეზს უნდა უხსნიდეს ამ თვით მოქმედებას! პირველი ხომ მეორის ანტიპოდია ს. დ. და ბიურ. რეჟიმი ერთი მეორის მოწინააღმდეგე პოლიუსებია. ვინ არ იცის, რომ სოც. დემოკრატიის თვითონ არსებას სწორეთ ხალხის თვით მოქმედება შეადგენს. თუ სოც. ფედერალისტებმა არ იციან მარქსის მკვეთრი სიტყვები — „მუშა ხალხის განთავისუფლება თვითონ ამ ხალხის საქმეაო“, ინტერნაციონალის სიმღერა მაინც უნდა ჰქონდეს გაგონილი: „არ არსებობს უაღრეს — უზენაესი მშველელი — მხსნელი, არც ღმერთი, არც ცეზარი და არც ტრიბუნი (სახალხო მქადაგებელი); მუშებმა ჩვენ თვითონ უნდა ვიხსნათ ჩვენი თავი და სხ.“.

არა ნაკლებ უსაფუძვლოა „ფანატიკოსურ ჯიუტობაზე“ გადაბრალება. ეს, ყოველ შემთხვევაში, არაფერს არ გვიხსნის, არაფერს არ განგვიმარტავს. საქმე ის არის, რომ ბრძოლის დროს სრულიად ბუნებრივია სურვილი მოიქცე და გააკეთო წინააღმდეგ იმისა, როგორც იქცევიან და რასაც აკეთებენ შენი მოპირდაპირენი. ეს ერთგვარი პსიხიური აუცილებლობაა. ამის მაგალითებით სავსეა საზოგადოებრივი აზრის განვითარება, ამასვე მოწმობს თვით ხელოვნების, ფილოსოფიის და, საზოგადოთ, მთელ იდოლოგიის განვითარების ისტორია. ასე მაგ. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის რადიკალური ბურჟუაზია, ამხედრებული არისტოკრატიის წინააღმდეგ, ატეისტია და მატერიალიზმის მაღიარებელი, რადგან მისი მოპირდაპირე წოდებანი ეკლესიის და რელიგიის დამცველნი არიან; სამაგიეროთ ინგლისის მე 17-ტე საუკუნის არისტოკრატია მატერიალიზმამდის მიდის, რადგან მისი მოპირდაპირე პურიტანები უკიდურესათ რელიგიოზურია. ანუ კიდევ, მერკანტილისტები ამტკიცებდენ ფულია ნამდვილი უაღრესი სიმდიდრე, ხოლო მათი მოწინააღმდეგე ეკონომისტები და მათ შორის იუმი, ამტკიცებენ — ფული არაფერი სიმდიდრეა, ის მხოლოთ უბრალო ნიშანია, მას არავითარი შინაგანი ღირებულება არ მოეპოება და სხვ. ამ გვარათ კლასების და პარტიების ბრძოლა აზრების მსვლელობაშიაც დიდ გავლენას ახდენს და ძალიან ხშირათ ერთ წინააღმდეგობა — უკიდურესობას მეორეთი სცვლის. ამ მოვლენის ერთ ნაშხეუს წარმოადგენდა ჩვენებურ სოც.-დემოკრატიასა და სოც.-ფედერალისტებ შორის ატეხილი კამათი ეროვნულ საკითხის შესახებ. მხოლოთ ეს აღვნიშნეთ ჩვენს ერთ წერილში და მეტი არაფერი. აზრების მსვლელობაზე რომ ბრძოლას დიდი გავლენა აქვს — და სწორეთ ჩვენ

მიერ აღნიშნული გავლენა—ამას ჰმოწმობს თვითონ „ამირანი“ იმავე წერილში (№123). თუ არ პოლემიკის ჟინიანობა, იგი ისე არ დასწერდა მაგ. შემდეგ სტრიქონებს: „თითონ იგინი (ე. ი. ჩვენ) დღესაც პირგაკმენდილი ისხდებოდენ ცენტრალისტების ბანაკში, სოც.-ფედერალისტებს რომ არ შეერყიათ მედგარის კრიტიკით ცენტრალიზმის სოც.-დემოკრატიული დოგმა“ და სხვ. თვითონ „ამირანმა“ არა ერთხელ აღნიშნა, რომ სოც.-დემოკრატიაში გაჩენილი ახალი მიმდინარეობა (ეროვნულ საკითხის შესახებ), რომლის მატარებელია ჩვენი ორგანო, აღმოცენდა ქართულ ცხოვრების ნიადაგზე და მაშასადამე ცხოვრების წიაღიდან წარმოშობილი მიმდინარეობა არ შეიძლება იყოს რაიმე საგაზეთო პოლემიკის ნაყოფი. სოც.-ფედერალისტებს ჩვენთვის არც ნიადაგი შეუმზადებიათ, პირიქით, იმათ ჩვენი გზა ნა-ეკალით აავსეს. მარა რუსების არ იყოს нѣтъ худа безъ добра, „ცუდსაც თავის კარგი მხარე აქვს“ რამდენათაც მძიმეთ და ძნელათ გვიხდება ჩვენ გზის გაკაფვა, იმდენათ უფრო მტკიცე საძირკველს ვუყრით ჩვენს ახალ მიმდინარეობას.

ვიმეორებთ, რომ სოც.-ფედერალისტების „მედგარ კრიტიკამ სოც.-დემოკრატიაში კი არ შეარყია „ცენტრალიზმის დოგმა“, პირ იქით უფრო გაამაგრა, და კერძოთ, ჩვენ შესახებ, სოც.-ფედერალისტებმა თუ არ დაავიანეს ჩვენი გამოსვლა, მათ ეს არ დაუჩქარებიათ. და სოც.-ფედერალისტების, დაბოლოს, სწორეთ გვიან გამოსვლას გვისაყვედურებენ, ამას გვითვლიან მომაკვდინებელ ცოდვათ. ამ „დაგვიანებას“ თავისებურათაც ხსნიან. „ამირანი“ მიხვედრილია, რომ ჩვენ პარტიულ მთლიანობის ინტერესებსაც უნდა დავებოქრებინეთ და ამას ასე განმარტავს: „ეს იმას ჰნიშნავს, რომ ამ („ჩვ. კვ.“) პუბლიცისტებს თავის სინდისის სასწორზე აუწონიათ მაშინ ქართველი ერის და სოციალდემოკრატიულ პარტიის ინტერესები, აუწონიათ და პარტიის ინტერესებს დაუძლეია; სხვანაირათ რომ ვთქვათ, ამ პუბლიცისტებს პარტიის კეთილდღეობა უმჯობინებიათ ქართველ ერის კეთილდღეობისათვის, ჩვენ ეს გაუსწორებელ დანაშაულათ მიგვაჩნია“... აი ტიპიური, სოც. ფედერალისტური ლათაია! ამ ბატონების სიტყვიდან ისე გამოდის, თითქოს პარტია იყოს სპორტსმანების წრე-მაგ. მობურთავეთა, მოჭიდავეთა, ველოსეპიდისტებისა და სხვათა ჯგუფი, და სახალხო საქმის კეთება კი სრულიად სხვა რამე. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ჩვენის შეხედულებით, ქართველი სოციალდემოკრატია არის ქართველ ერის ძალთა ორგანიზაცია ამავე ქართველ ერის ინტერესთა სასამსახუროთ. და ამიტომაც პარტიისა და ერის ინტერესთა დაპირდაპირება ჩვენთვის სასაცილოა, მეტი რომ არა ვთქვათ.

სოც.-ფედერალისტები გაუსწორებელ დანაშაულობათ გვითვლიან იმას, რომ ჩვენი ნაციონალური პროგრამით ბრძოლის ასპარეზზე არ გამოველით მაშინ, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა ბობოქრობდა. ეს საყვედური ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის. ს.-ფედერალისტები, როგორც იდეალისტები, ჰგონებენ, რომ ისტორიას „აკეთებს“ იდეა, აზრი, და ამ იდეით შეიარაღებულ ადამიანს შეუძლიან ქვეყანა თავის ქეიფზე მიატრიალ-მოატრიალოს. ს.-ფედერალისტების რწმენით, ჩვენი ჯგუფი, რომ იმ დროს გამოსულიყო, ქვეყანას თუ ვერ გადააბრუნებდა, თვალსაჩინო ნაყოფს მაინც მოიტანდა. თა? იმიტომ, რომ ამ ჯგუფის იდეა—ავტონომია ჭეშმარიტებაა. ს.-ფედერალისტები ვერ გვაპატიებენ „გვიან გამოსვლას“ წმინდა ეთიკური მოსაზრებითაც. იმათ რომ ჰკითხო, შენ გულწრფელი ადამიანი აღარა ხარ, უკეთუ უმალვე არ ახსენ ბაგე საქადაგებლათ, რაწამსაც კი იდეამ თავში გაგიჩუჩუნა. იდეალისტი თავის სამოქმედოთ მაგდენ არას დაგიდვეს გარშემორტყმულ პირობებს, სწორეთ ისევე, როგორც ამას არ დაგიდევდა ჩაცკი. უნდა შევნიშნოთ, რომ გრიბოედოვის გმირი ჩაცკი („ვაი ჭკუისაგან“) თავის ტემპერამენტით და აზროვნებით პირწავარდნილი ს.-ფედერალისტია. იგი არ უყურებს როდის და ვისთან აქვს საქმე, იგი მარჯვნივ და მარცხნივ მოურიდებლათ აპნევს ღამაზ ფრაზებს და მშვენიერ სენტენციებს და რაღა თქმა უნდა, მისი „მოღვაწეობის“ შედეგიც უეჭველათ უნდა ყოფილიყო: „Карету мнѣ, пойду искать, гдѣ оскорбленному есть чувству уголокъ!“ ასეთია მიუცილებელი დასკვნა ყველა იმ „კარგი“ მოქმედების, რომელიც სათანადო ანგარიშს არ უწევს გარშემორტყმულ პირობებს. ჩვენ კი—და ყველა სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე—სწორეთ ამ პირობების შესწავლაზე ვამყარებთ ჩვენს მოქმედებას. ჩვენ წინდაწინვე ვანგარიშობთ ჩვენი მოქმედების პრაქტიკულ შედეგებს. აი ამ თვალსაზრისით, ჩვენი გამოსვლა მაშინ, „მოძრაობის აბობოქრების დროს“, არამც თუ პატარა, თვალსაჩინო ნაყოფსაც ვერ მოიტანდა, იგი პირიქით მავნებელიც იქნებოდა. ჩვენ არ შეგვწევდა საკმაო ძალა, ჩვენ იმდენათ მცირე რიცხოვანი ჯგუფი ვიყავით, რომ მარტო ფიქრიც კი—პარტია ჩვენ ნაციონალურ პროგრამაზე დამდგარიყო—თავხედობა იქნებოდა; მაშასადამე, ჩვენ რამდენსაც უფრო მეტ ენერგიას გამოვიჩენდით, იმდენათ უფრო მეტ ძალთა დაქსაქსვას გამოვიწვევდით იმ პარტიაში, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ სახალხო მოძრაობას; მაშასადამე, ჩვენი მოქმედებაც გამოვიდოდა ხალხის მტრობა და არა ქართველ ერის ინტერესთა სამსახური. აი ამიტომაც ჩვენმა რწმენამ, ჩვენმა სინდისმა და ეთიკამ გვიკარნახა სწორეთ ის ხაზი მოქმედებისა, რომელსაც ჩვენ ვადგით მაშინ, და ეს იმდენათ ღრმა რწმენაა ჩვენი, რომ დღესაც, თუ მაგ. მოხდებოდა მთელი რეჟიმის სრული რესტავრაცია და იფეთქებდა სახალხო მოძრაობა, ჩვენ უმალვე თავს გავანებებდით დაწყებულ საქმეს, იქით გადავდებდით ყოველგვარ უთანხმოებას ნაციონალურ საკითხში და ერთსულოვნათ შევერთდებოდით, შევდუღდებოდით, როგორც ადგილობრივ, ისე მთელ რუსეთის

ამხანაგებთან და ყველანი ერთიან, გასალკდეებულ ლაშქართ აღვიმართებოდით მთელს იმპერიაში.

მაგრამ დღეს სრულიად სხვაგვარი პირობებია. დღეს სწორეთ ისეთი მომენტია. როცა კრიტიკულათ უნდა გადიშინჯოს მთელი განვლილი ხანა და მოქმედება, უნდა აღინიშნოს ძველი შეცდომები, შეივსოს ძველი დეფექტები, უნდა შემუშავდეს სრული და სწორე პროგრამა და ტაქტიკა, რათა ხვალინდელ დღის წინაშე წარვსდგეთ უკეთესი ძალ-ღონით აღჭურვილნი.

აი ამიტომ, დღეს ჩვენი ასპარეზზე გამოსვლა არც დაგვიანებულია, არც ნაადრევია, იგი სწორეთ დროს შესაფერია.

ყველა ზემო ნათქვამი ცხადზე უცხადესია. ეტყობა, ს.-ფედერალისტებთან კაცი შორს მანძილს ვერ გაივლის. ჩვენთვის უფრო საინტერესოა თვით ჩვენ ამხანაგებთან კამათი. ამ დღეებში მაგ. გაზ. „ხომლში“ დაიბეჭდა ეროვნულ საკითხზე რამდენიმე დიდათ საყურადღებო ფელეტონი ა. ჩხენკელისა. აი ამასთან კამათი ჩვენთვის უფრო საინტერესოა და სასარგებლოც. მარა ამაზე შემდეგ.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

— 8 აგვისტოს ქ. ოდესაში დროებით მიწას მიაბარეს. კარსლბადში გარდაცვალებული ოდესის უნივერსიტეტის პროფ. ვასილ მოსესძე პეტრიაშვილის გვამი. ამ დღესვე გადახდილ იქმნა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდი ვ. პეტრიაშვილის სულის მოსახსენებლათ. აზრათა აქვთ ვ. პეტრიაშვილის ცხედარი სამშობლოში გადმოასვენონ.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ გადასწყვიტა დაარსდეს პარიზის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა, რისთვისაც გადასდო საჭირო ფული.

— სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა ტიპი სკოლისა მოზრდილთათვის, მსჯელობა იქონია ამ კითხვის შესახებ წარსულ სამშაბათს. საერთოთ გამოითქვა აზრი, რომ რაც შეიძლება, მიიზიდონ სკოლებში სრულიათ ანბანის არ მცოდნე მასსა, რომელთანაც მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ერთი წლის განმავლობაში. წელიწადი გაყოფილია სამ სემესტრათ. ამ კითხვისავე შესახებ იქონია მსჯელობა ქართულმა სექციამ 7 აგვისტოს. კითხვამ ბევრი დებატები გამოიწვია. ზოგნი წინადადებას იძლეოდენ გაიხსნას სკოლა მარტო ერთ ადგილას, მხოლოთ მიღება შეგირდებისა სწარმოებდეს ყოველ სამი თვის შემდეგ. ზოგი ამტკიცებდა გაიხსნას სკოლა ორს ადგილას და მიემატოს სამს მასწავლებელს ერთი კიდევ. მესამენი ამტკიცებდენ, რომ თუ გვინდა ფართე მასსა მივიზიდოთ სკოლებში უნდა გავხსნათ სასწავლებლები სხვადასხვა ადგილას მაგ. ვერაზე, ჩულურეთში, გოგოლის ქუჩაზე და სხვა. ხმის უმეტესობით კრება მიემხრო მეორე წინადადებას. ჩვენი აზრით კი უფრო რაციონალურია მესამე წინადადება.

— ჰოლოკის ხეობაში საგლეხო ბანკს შეუძენია დიდძალი მამულები, რომელსაც შეუძლიან აცხოვროს თურმე 30,000 გლეხი.

— სოფ. ხაშმში (თფ. მაზრა), გაჩნდა ფილოქსერა. საფილოქსერო კომიტეტმა გადასწყვიტა გაიგზავნას ხაშმში რვა კაცი. ამათ გლეხების თანხმობით ფილოქსერის მოსასპობათ უნდა გაკაფონ ფილოქსერიანი ვენახები.

— დაბრუნდა თფილისში ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დავალებით წასული კახეთში სახალხო მოტივების შესაკრებათ ზაქ. ფალიაშვილი. უკანასკნელს გრამოფონზე გადაუღია ოცდაათ ხმაზე მეტი.

— 5 აგვისტოს პეტერბურგს გაემგზავრა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

— ქუთაისში ძარცვა-გლეჯისათვის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ბოკუჩავას და ფათირიშვილს.

— 5 აგვისტოს თფილისში ჩამოაღრჩეს ალექსანდრე ბერიჯანოვი, რომელსაც ტუსაღის მოკვლას აბრალებდენ.

— 5 აგვისტოს დილით გორში თავის სახლის წინ მოკლეს რევოლვერით გორიჯვრელი მემამულე ილია შოშიაშვილი.

— სოფ. ქსოვრისში (ქართლი), 3 აგვისტოს რამდენიმე უცნობ კაცს უკემია რატიშვილისა და კობიაშვილისთვის, მეტ ღალებს რათ იღებთო. იმათვე გაულახიათ ადგილობრივი მღვდელი, მათე ბერიძე. და წინადადება მიუციათ პური არ მოიკითხოო. შემდეგ მისულან სოლ. რატიშვილთან კალოზე, რომლისთვისაც თოფი დაუხლიათ და მოუკლავთ.

— რედაქციამ მიიღო 1-ლი № ახალ საგლეხო გაზეთ **„ახალშენი“**-სა.

რუსეთში.

— სიკვდილით დასაჯეს: კიევში—ორი, ვარშავაში—ორი, ვილნოში—ორი, სარატოვში—ოთხი, რეველში—ოთხი, ეკატერინოსლავში—ორი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—სამს, ტომსკში—ოთხს, ჩიტაში—ორს, პეტერბურგში—ოთხს, კიევში—ოთხს, გომელში—ერთს, რიგაში—ორს, ვილნოში—ერთს, ხარკოვში—სამს, ლოდზში—ორს, ტომსკში—ერთს, პეტროზავოდსკში—ერთს.

— ლ. ნ. ტოლსტოის წერილის გამო „არ შემიძლიან გავჩუმდე“ დააჯარიმეს შემდეგი გაზეთები: „სლოვო“—2000 მან., „ვეჩერი“—1000 მან. ლატიშების ჟურნალი „ავოსტი“—1000 მან. („რეჩი“ №№ 177—183).

— მთავრობის განკარგულებით აღკრძალულია ჟორესის გაზ. „L' Humanite“-ს შემოტანა რუსეთში.

— 31 იელისს ფინლიანდიის სასამართლოში მესამედ ირჩეოდა საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ.

სასამართლოში ჩვენება ჩამოართვეს პოლოვნევს (საშკა კრივოის), რომელსაც ბრალათ ედება გერცენშტეინის მოკვლა. საქმე არ გათავდა და გადაიდო 2 აგვისტომდის.

— ფინლიანდიის გენ.-გუბ. თხოულობს ფინლ. სენატისაგან, რომ მიიღოს ზომები და გადასდოს 2 მილ. ნახევარი ფინანსთა მინისტრის მოთხოვნილების თანახმათ მიმდინარე ნევაზე ხიდის გასაკეთებლათ.

— სიმფეროპოლის ციხეში თავი მოიკლა პატიმარმა ოდონოვმა, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

— ალექსანდროვსკო-გრუშევსკში დასჭრეს პოლიციმეისტერი კოლპონოვი; მსროლელი დაიჭირეს.

— კიშინიოვის ციხეში მოხდა პატიმართა არეულობა. გამოიწვიეს სტრაჟნიკები, რომელთაც ძალით ჩააქრეს არეულობა.

— პოლანგენში დააპატიმრეს ათი სოციალ-რევოლიუციონერი, რომელნიც ცდილობდენ საზღვარზე გადასვლას.

— ტავრიჩის გუბერნიიდან გააძევეს 1-ლი სახელმწიფო დუმის წევრი თავ. ობოლენსკი.

— ჟილოვის (ეკატერინოსლ. გუბ.) მადნებში ბოროტ-განმზრახველებმა გადააგდეს ყუმბარა მდაიჭრა 7 კაცი.

— ახლო მომავალში ვარშავის სამხედრო სასამართლო გაარჩევს ორ პოლიტიკურ საქმეს—ერთი ებრაელების რევოლიუციონურ ორგანიზაციის „ბუნდისა“ (86 ბრალდებულია), მეორე—ანარხისტ-კომუნისტებისა (75 ბრალდებულია).

— 24 ივლისს დეპუტატი კუზნეცოვი გაემგზავრა იუზოვკაში, სადაც მან გვირგვინით შეამკო რიკოვის კატასტროფის მუშების საფლავი. ასობით მუშები შემოეხვიენ გარშემო და აძლევდენ კითხვებს სახელმწიფო დუმაზე, მუშათა კანონმდებლობაზე და სხ. კუზნეცოვმა გულახდილათ განუცხადა, რომ მას პოლიციისაგან აკრძალული აქვს მოხსენების წაკითხვა სახელმწიფო დუმის შესახებ. საღამოთი კუზნეცოვის სახლში თავი მოიყარეს პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა რიკოვის მადნებში დაღუპულ მუშების ოჯახების იურიდიულ დახმარების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლათ. ის იყო კრება დაიწყო, რომ მათ ესტუმრათ პოლიცია. თუმცა კუზნეცოვი არწმუნებდა მათ, რომ აქ არავითარი ს.-დ. კრება არ არის, რომ ის, კუზნეცოვია, სახელმწიფო დუმის წევრი, ყველა მუშები დააპატიმრეს კუზნეცოვთან ერთათ და საპოლიციო ნაწილში გაგზავნეს. აქ კუზნეცოვი ხელმეორეთ გაშინჯეს.

არც მუშებს, არც კუზნეცოვს არაფერი საწინააღმდეგო არ აღმოაჩნდათ. მიუხედავათ ამისა ისინი ჩაკეტეს. მეორე დღეს დილის 11 საათზე მარტო კუზნეცოვი გაანთავისუფლეს.

— გაზეთებში გამოქვეყნებულია ზოგიერთი ცნობები სიკვდილით დასჯილთა შესახებ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

ყველაზე ბევრი დაუსჯიათ სიკვდილით პოლშაში. ვარშავაში დასაჯეს სიკვდილით 46 კაცი, ლოდზში—36, მერე მიჰყვება კიევი—30, ოდესა—27, ხერსონში—18, ეკატერინოსლავში—18, რიგაში—17, მოსკოვში—12, რეველში—10, უფაში—10, ვილნოში—9, ეკატერინობურგში—9, ნიჟნი-ნოვგოროდში—7, ხარკოვში და თბილისში—ექვს-ექვსი, პერმში—5.

მერე ჩამოთვლილია 14 ქალაქი, სადაც სიკვდილით დასჯას ჰქონდა ადგილი 1—4 შემთხვევამდე.

ოსმალეთი.

— მთავრობა ფიქრობს მოსპრას 600,000 მედალი კონსტიტუციის ბოძების სახსოვრათ. განზრახვაა, რომ წმიდა შემოსავალი 50,000 გირვანქა გადაეცეს პარლამენტის განკარგულებაში.

— ახალგაზდა ოსმალთა ორგანიზაცია ხელახლა აძლევს წინადადებას სულთანს გვარდიის დათხოვნის შესახებ. 20 ათას დარჩეულ პირთაგან შემდგარი ჯარი, რომელიც ცხოვრობს ილდიზ-კიოსკთან ახლოს, წარმოადგენს ისეთ წრეს, რომელიც ადვილათ დაემორჩილება რეაქციონერთა აგიტაციას. სულთანი ამდენ ხანს უარს ყოფდა ამ მოთხოვნას.

— დოლმა-ბახჩეს მახლობლათ სამხედრო გემის „ფამიდიეს“ სრულ საბრძოლათ მზაყოფნას, როგორც ამბობენ, მიზნათ აქვს, უჩვენოს სულთანს, რომ ახალგაზდა ოსმალნი მზათ არიან ყოველგვარ შემთხვევისათვის.

— ოსმალეთის რევოლიუციის მსხვერპლი განისაზღვრება 13 მკვდარით და 6 დაჭრილით.

— „ტაიმსის“ ცნობით ამ დღეებში გაანთავისუფლეს ყოფილი სომეხთ-პატრიაქი ორმანიანი. ახალგაზდა ოსმალთ ჩასვეს ის ციხეში იმისთვის, რომ დაეხსნათ გაბრაზებული ხალხის შურის ძიებიდან, რომელსაც სურდა მოეკლა ის 30,000 გირვანქის გაფლანგვისათვის. ახალგაზდა ოსმალთ გაგზავნეს ის გაძლიერებული მცველებით საპატრიარქოში.

— სტამბოლში ყოველ დღე იპერენ ჯაშუშებს. დაიჭირეს, სხვათა შორის, საიდუმლო პოლიციის ერთი უფროსთაგანი, რაჰიმი.

— ოსმალეთის საარჩევნო კანონის ტექსტი უკვე დაეგზავნა პროვინციათა უფროსებს. არჩევნები იქნება არა პირდაპირი. ხუთასი ამრჩეველი ირჩევს ერთ ამომრჩეველს; 50 ათასი ამრჩეველი გაგზავნის პარლამენტში ერთ დეპუტატს. სანჯაკები (ოლქები) მამაკაცთა საერთო რიცხვით 50—75 ათასამდე გზავნის ერთ დეპუტატს, 75—125-დე ორს, 125—175-დე ათასი სამს, 175—220 ათასი—ოთხს. აქტიურ მონაწილეობას იღებს არჩევნებში თითეული 25 წლის ოსმალო, რომელიც იხდის მცირე რამ გადასახადს. ჯარის კაცებსაც აქვთ საარჩევნო უფლება. არჩევნებში არ იღებენ მონაწილეობას ადმინისტრაციის მოხელეები. არჩევნების ხელმძღვანელობა

მინდობილი აქვს განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც მოხელე პირნი არ იღებენ მონაწილეობას.

— **ქართველები ოსმალეთში.** ერთი მაჰმადიანი ქართველი კერძო წერილში სწერს თავის მეგობარს: „ძველი ქვეყანა (ოსმალეთი) მიიცვალა. ეხლა ახალი ქვეყანაა და ახალი კანონი გაჩნდა მთელი ქვეყანა ფეხზე დგას, ყველას ხელში თითო ბაირაღი უჭირავს და ერთმანერთს ულოცავენ თავისუფლებას. ეხლა ყველა მერჯულე ერთია, ერთმანერთს ჰკოცნიან; არავის განსხვავება არა აქვს შპიონ-მგლებს სწმენდენ, ბევრი სამსახურიდან ირიცხება, იკარგება, ყველას ცოდვამ გამოუწია. ძველებური ხათაბალა და შეწუხება აღარ არის. ვინ ხარ, კაცი არ კითხულობს, ხვანთქარს (სულთანს) ხატავენ და ათ ფარათ ქუჩაში ჰყიდიან, უწინ დანახვა და სიტყვის თქმა არ შეგეძლო მის შესახებ!

ჩვენი ქართველი მუშირი შაქირ ფაშა ერქანი ხერბ რეისი გახდა (სამხედრო აკადემიის დირექტორი); ქართველი თოფჩი ყუმანდანი რიზა პაშა თოფხანი ნაზირი (ოსმალეთის ყველა არსენალთა უფროსი) გახდა; ქართველი ხასან ფეჰგი პაშა შურაი დევლეთ რეისი გახდა (სახელმწიფო ქონებათა და სამთო სამრეწველო მინისტრი); ფაღავა კაი მეკამი გახდა (სარდალი).

რა დიდებული დრო დადგა, ვინ იფიქრებდა, რომ ოსმალეთი ამას მოესწრებოდა? შპიონებს სამსახურიდან ითხოვენ და საჯაროთ პირში აფურთხებენ“.

სპარსეთი.

— 29 ივლისს თეირანში ჟანდარმთა უფროსმა ამოათხრევინა საფლავიდან განმათავისუფლებელ მოძრაობის პირველი მსხვერპლი ლეიდი აბდულ-ჰამიდი, რომელსაც ყველა დიდ პატივს სცემდა და დასწვა ის. ფერფლი წაიღეს ბაჰეშახს. ამ მასხრათ აგდებამ გამოიწვია ძლიერი მოძრაობა და აღელვება.

საღამოს, ნაციონალურ დღესასწაულის წინა დღით, გავლენიანი სპარსელის სახლში შეიკრიბა ათასზე მეტი კაცი; ამბობდენ ამაღელვებელ სიტყვებს შაჰის წინაღმდეგ, იწვევდენ ტახტიდან მის ჩამოსაგდებათ; უწოდებდენ მას სარწმუნოების უარმყოფელს იმისთვის, რომ შეურაცყო მან წინასწარმეტყველის ჩამომავალი ლეიდ-აბდული.

— „რეჩი“-ს კორესპოდენტი იტყობინება, რომ სპარსეთის მთავრობა სერიოზულათ სცდილობს შექმნას ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელსაც შეუძლია მეორე მეჯილისის საქმიანობის უზრუნველ ყოფაო. შაჰი, ამბობს ის, დიდხანს მეკითხებოდა რუსეთის მესამე დუმის საარჩევნო კანონისა და სახელმწიფო საბჭოში დეპუტატების დანიშვნის შესახებ, შემდეგ მოითხოვა თითო ეგზემპლიარი ამ კანონებისა, რაც მე დაუყონებლივ დეპეშით დავიბარე პეტერბურგიდანო“.

— სამ აგვისტოს თავრიზის ქუჩებში გავრცელებულ იქმნა ფურცლები შემდეგი სათაურით: **„ცრემლები ხალხისა“.** ფურცლის ავტორი სატარ-ხანისა და ბაგირ-ხანის პარტიიდან ირონიულათ ეკითხება რეაქციონერებს: „სად არის დაარსებული პარლამენტი? სად არიან პროგრესიული გაზეთების რედაქტორები? და სად არის კონსტიტუცია, რომელიც ერთი ხმაურობით აუწყეთ ქვეყანას? რად გახდა მისი წინააღმდეგი სამღვდელოება? ფურცელში მოთავსებულია კიდევ რევოლიუციონერების მიერ წართმეული რამდენიმე დეპეშა, რომელშიაც თავრიზის ადმინისტრაცია უჩვენებს შაჰის პარტიის უმწეო მდგომარეობას. მეორე დეპეშაში აწერილი იყო 26—27 ივლისის ბრძოლა, მესამეში სათარხანის სიკვდილი, რომელიც ვითომც შაჰსევანებმა მოჰკლეს. ფურცელი ძალიან გავრცელდა, მას ერთმანეთს გლეჯდენ ხელში და ისე კითხულობდენ, ამან აშკარათ დაუმტკიცა რეაქციას, რომ ფაქტიურათ ძალა სათარხანის ხელშია.

ფიდაები შეუპოვრათ ეკვეთებოდენ, მაგრამ რიცხვით რეაქციონერები მეტი იყვენ. რეაქციონერები გადავიდენ ყოფილ ენჯუმენის შენობაში, რომელიც იყო უშიშარ ადგილას. იქიდან იძლეოდენ ბძანებას. საღამოს ბრძოლა შესწყდა, მეორე დღეს 11 საათზე ისევ განახლდა, ეხლა იერიში მოქონდათ ფიდაებს. საღამოჟამს ფიდაები შეიჭრენ შაჰსევანების და კარადაჰერის წრეებში. თხრილებში შემომწყვდეული შაჰსევანები კარადგები სრულიად ამოჟლიტეს. მოჰკლეს ორი აფიცერი. არავის არ აპატიეს. მაშინ ფიდაებმა უკანვე წაიღეს თავისი ზარბაზანი. ამ ამოჟლეტამ მოახდინა გუბერნატორსა და რეაქციონერებზე შემაძრუწუნებელი შთაბეჭდილება,

*
* *

ობლათ დავძრწოდი.. მაგრამ მე ქვეყნათ
სატრფო-მიჯნური თურმე მყოლია!
გმირი ყოფილა შეუპოვარი
და ხასიათიც მტკიცე ჰქონია!..

გული ვერ მისწვდა ამ საიდუმლოს,
ალერს-სიყვარულს სხვაგან ეძებდა;
თუ მის აჩრდილი თავს ევლებოდა,
რას მიხვდებოდა, რას გაიგებდა?!.
დღეს კი ცხადია... ვამაყობ კიდეც,
(თუმც გულ-ქვა არის, არც ლამაზია);
არ მიღალატებს კუბოს კარამდე,
სასტიკი არის, ბუმბერაზია!..
მისი მონა ვარ.. ვიშ, ნეტარებავ!
სიამის ცრემლნი თვალზედ მითრთიან..
მასაც ვუყვარვარ მე გაგიჟებით,
ჩემი მიჯნური! მას შრომა ჰქვიან!

ობლათ დავძრწოდი, მაგრამ მე ქვეყნათ
სატრფო-მიჯნური თურმე მყოლია..
გმირი ყოფილა შეუპოვარი
და ხასიათიც მტკიცე ჰქონია!

ბაბ.—ი.

ამონაკვნესი.

მარტოკა ვზივარ... ჩემს გარეშემო
ტურფა ბუნება ტურფათ იშლება,
მდელო ბიბინებს, ზურმუხტის ფერი
მინდორი ათას ფრათ იქარგება.
შორს ტყე ხმაურობს, ბუჩქ-ბალახებში
ციურნი ცვარნი ციმციმ-ბრწყინავენ,
ნაკადი მოქუხს, იმის ტალღებში
ცელქნი კალმახნი თამაშ-ხტუნავენ.
ნიავი დაქრის, მცენარე თავს ხრის,
ფოთოლი ფოთოლს გულში ეკვრება,
ჰრელი ჰეპელა წყნარათ, ნელნელა
შროშან-იასმანს თავსა ევლება...
მაგრამ ბუნების სიმშვენიერე
თვალს ვერ იტაცებს, გულს ვერ იზიდავს,
შავი ფიქრები, ვით ნისლი მთასა,
თავს დამტრიალებს და სულს მიხუთავს.
თვალ-წინ მიდგია ცხოვრების ველი
უმანკო სისხლით უხვათ მორწყული,
ვთვლი, ვანგარიშობ შეწირულ მსხვერპლებს
და მწარეთ, მწარეთ მიკვნესის გული!

***

მცირე შენიშვნა.

თბილ. ტრამ. დირექ. ბ-ნი ალიბეგოვი გაზეთ „ხომლის“ № 16-ში აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ და ირწმუნება, რომ ჩემი მტერ-მოყვარენი ცდილობენ მომახვიონ თავზე სისაძაგლე და სასიზღრობა, პრესის შემწეობით ამახინჯებენ ფაქტებს, შეცდომაში შეყავთ გაზეთები, და რომ გარემოებათა უცოდინარ მკითხველებმა არ იფიქრონ ვითომ დაპატიმრებას აზრათ აქვს მომუშავეთა ხელფასის შემცირება და ამ სახით საზარალო დასკვნა არ გამოიყვანონ ჩემზე, როგორც ტრამ. დირექტორზე, -ვაცხადებ, რომ სიმართლეს მოკლებულია ის, ვითომ ჯამაგირებს ვუკლებდე მომუშავეებს. ასე რომ აღნიშნული ორი ფაქტი ჰკარგავს მნიშვნელობას. მართალია 60 მუშაა დაპატიმრებული, ჩვენ კი ავიყვანეთ 4 ახალი მუშა, ისინიც ძველ პირობებში. ვის დავუჯეროთ, ფაქტებს თუ ბ-ნ ალიბეგოვის ცრუ სიტყვებს?. ბ-ნი ალიბეგოვი გვეუბნებოდა ჯ ახლაც გვეუბნება: „უსახელო საზოგადოებას არ აძლევს ხელს ისეთი ჯამაგირების მიცემა მუშებისათვის, როგორც თქვენ, 8 საათის მაგიერ 9 საათი უნდა იმუშაოთ, მუშები ძალიან ბევრია და უნდა შტატი შევამციროთ“. შეუდგა ახალი მუშების მიღებას, რომელთაც ართმევდა ხელწერილებს, რომ დროებით არიან აყვანილები, არავითარ ხელშეკრულობას არ მოითხოვენ, დირექციას რა დროსაც მოესურვება დაითხოვს და უნიშნავს მცირე ხელფასს შედარებით ძველ მუშებთან. დროებით აყვანილ ახალ მუშების რიცხვი 50 იყო,—სანამ დააპატიმრებდენ 60 მუშას,—და ნელ-ნელა ეჩვეოდენ—ეცნობოდნენ მუშაობას. დაპატიმრების შემდეგ დირექციამ კიდევ აიყვანა არა 4 მუშა, არამედ 15 ახალი მუშა და თუ ამ უკანასკნელთ დაუნიშნა დიდი ხელფასი და ძველ პირობებში მიიღო, ეს მარტო იმიტომ, რომ ესენი დახმარებას გაუწევენ დირექციას მუშების დასამარცხებლათ. ბ-მა ალიბეგოვმა მოსაბმელ—დასამატებელ ვაგონებს მოხსნა (თუმცა ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი გაუმჯობესებულ ტეხნიკის შემოღების) 40 ვატმანი, რომლებიც დრო-გამოშვებით გამოდიან სამუშაოზე. 27 ივლისს ტრამვაის სახელოსნოს ზედამხედველმა გამოუცხადა მანტიორებს: „30 მუშა უნდა დავითხოვოთ, რადგანაც 9 საათის მუშაობა უნდა დაწესდეს ჯ იმდენი მუშა აღარ დაგვჭირდება, რამდენიც ახლა. აირჩიეთ 8 ხელოსანი, (განსაკუთრებით ერთ მანტიორს მიმართა ასეთი წინადადებით ჯერჯეროობით) ერთი შავი მუშა, ისეთები, რომლებიც თქვენ გსურთ“. 4 აგვისტოს ბ-ნმა ალიბეგოვმა დაიბარა თავისთან სამი მუშა, რომელთაც გამოუცხადა: „20 მუშა უნდა დავითხოვო ისეთები, რომლებიც მე მინდა, 9 საათს უნდა იმუშავოთ დღეში ყველამ. მხოლოთ ეს შეიძლება ცოტა ხანი დაგვიანდეს“. რას ნიშნავს ყველა ეს? თავის თავათ ცხადია—ძველი მუშების დათხოვნას, ხელშეკრულებათა გაუქმებას, დროებით აყვანილ მუშების შემწეობით ჯამაგირების დაკლებას და

საათების მომატებას, ერთი სიტყვით, ყველა იმ უფლებების წართმევას, რომლებიც მუშებმა წვითა და დაგვით მოიპოვეს მრავალ წლების განმავლობაში, ალიბეგოვისთანა მაძღარებთან ბრძოლაში. როდესაც ბ-ნ ალიბეგოვს 11 და 12 ივლისის „სოვეშჩანიებზე“ უფროს და უნცროს საფაბრიკო ინსპექტორების თანადასწრებით ეკიხებოდენ მუშების წარმომადგენლები, თუ ისედაც მეტია მუშათა რიცხვი, რაღათ იყვანთ ახალ მუშებსო, ალიბეგოვმა მარტო იმით გაიმართლა თავი, რომ „საქმე მოითხოვს და მეც ვიყვანო“. ყველა ამაების შემდეგ, ცხადია, ბ-ნ ალიბეგოვს სურს და ასრულებს კიდევაც,—დაუკლოს ყველას—გარდა იმათი, რომლებიც გვერდს უმაგრებენ დანოსებით—დაუკლოს ჯამაგირები, და სანამ ამას მოიმექმედებდეს, აშორებს ტრამვაიდან ნელნელა ხალხს. ახლა ვნახოთ, რას ამბობდა დაპატიმრებულების შესახებ ბ-ნი ალიბეგოვი, როდესაც მუშებმა გაუგზავნეს წარმომადგენელები და მოითხოვეს ალიბეგოვისაგან შუამდგომლობა გენ. გუბერნატორის წინაშე, რათა გაენთავისუფლებინა დაპატიმრებულები. „გენ.-გუბერ. სურს გაწმინდოს ქალაქი მავნე ელემენტებისაგან. გენ. გუბერნატორი ამბობს, თუ გინდ გავანთავისუფლო, ადგილებზე არ შეიძლება მათი მიღებაო. პოლიციამ მითხრა: მოსამსახურეები მოკვლას გიპირებენ, დამცველები დაიყენეო. მგონია დაპატიმრების მიზეზი გორბაჩოვის მოკვლა უნდა იყოს. მომეცით საბუთები, რომ მოსამსახურეებში არ ურევია მავნე ელემენტები, რომ გენერალ-გუბერნატორს დავუმტკიცო და გაანთავისუფლოს“. ასეთივე სიტყვებით გამოისტუმრებს ხოლმე დაპატიმრებულების დაობლებულ ცოლშვილს და დედებს, რომლებიც დილიდგან საღამომდის კონტორის კიბეებზე ელოდებიან ბ-ნ ალიბეგოვს, და სთხოვენ, როგორც ღმერთს, გაანთავისუფლოს მათი ქმრები, შვილები. ბ-ნი ალიბეგოვი საფაბრიკო ინსპექტორების თანადასწრებით მუშებს კაცის მკვლელებს უწოდებდა, რაზედაც საფაბრიკო ინსპექტორებმა ურჩიეს, რომ უკან წაელო სიტყვები. ყველა ამეების შემდეგ ისიც ცხადია რომ ბ-ნი ალიბეგოვი უკადრისი საშვალებებით ამხედრებს ადგილობრივ საზოგადოებას და ადმინისტრაციას მუშების წინააღმდეგ და ეწევა შავრაზმულ პრავაკატორულ აგიტაციას მუშების წინააღმდეგ. მაგრამ, იმედია, ადგილობრივი პატივცემული საზოგადოება, მიუხედავათ იმისა რომ ჩვენ შორის არის ისეთი სინიდისზე ხელაღებული მუშები რომლებიც შეურაცყოფას გვაყენებენ, დააფასებს ალიბეგოვის მოქმედებას.

ტრამვაიელი.

დედები.

(დასასრული.*)

VI

დესიკო თანდათან მოლონიერდა და ოჯახი წინანდელ რიგზე მოაწყო. ავადმყოფობის დროს, როგორც ბავშვებს, ისე თვითეულ საგანს დაჰკლებოდათ მისი თავდაუზოგავი ზრუნვა-მოვლა.

დესიკო ღარიბ დედ-მამისშვილი იყო, შესჩვეოდა შრომას, სანაქებოთ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და დიდი დროც არ გასულა, რაც დათიკო ქამაშვილს მისთხოვდა.

დესიკო თავს ბედნიერათა სთვლიდა, ქმრის ოჯახში სრული თავისუფალი იყო და დათიკოც თვალწარბში შეჰყურებდა და თავს ევლებოდა. კმაყოფილი დესიკო სულაც არ ფიქრობდა მასზე თუ მცირე ჯამაგირი ოდესმე აგრძნობინებდა მათ რაიმე გაჭირვებას.

— გაჭირვება რას ქვიან?.. კაცი თუ ირჯება და მუქთა ხორა არ არის, მას როგორ უნდა გაუჭირდეს?!. ფიქრობდა ეს.

დესიკოს პირველ წელიწადშივე გაუჩნდა შვილი, მას მოჰყვა მეორე, მესამე, კიდევ ზედ დაერთო უძუძურობა და დესიკომ ნაღვლიანათ დახარა თავი ძირს.

ბევრჯელ დააპირა შესულიყო რაიმე სამსახურში და შვება მიეცა ოჯახისთვის, მაგრამ როდესაც წარმოიდგენდა თავის შვილებს ულეხოების ხელში, შეკრთებოდა და წუთს გაუფრთხებოდა ამ მოსაზრებას. ბევრჯელ უნახავს მოახლეების ხელში ჩაცვივნული ბავშვები როგორ ისჯებოდენ და რა უწესო საქციელების მოწამეთ ხდებოდენ. ჯერ კიდევ ქალიშვილობაში დესიკო ჰკიცხავდა იმ დედას, რომელიც აგრე რიგათ არ აქცევდა ყურადღებას შვილებს, განგანზე იყურებოდა პირადის სიამოვნებისთვის.

— ღმერთმა ნუ ქნას, შვილი ვისმეს ჩაუგდო ხელში, მე თვითონ ავღზრდი ისე, რომ სხვისთვის მაგალითი იყვეს. ხშირათ უთქვამს ეს და ნუ თუ დღეს კი ისე უნდა მოიქცეს, როგორც იქცევიან ამისგან გაკიცხული დედები!.. არა! არა! ვერ იზამს დესიკო ამას. სხვაფრივ გაიჭირვებს საქმეს, თითქმის საზრდოსაც მოვიკლებ, ჩასაცმელს, ყოველგვარ სიამოვნებას, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქმარ-შვილთან შედარებით და ოჯახიდგან კი გარეთ არ გავალ...

დესიკოს გაგიჟებით უყვარდა შვილები, დღე თუ ღამ მათთვის ფიქრობდა, კიდევაც დავიწყებოდა, თუ შვილების გარდა კიდევ სხვა არსებობდა რამ, მთელი დღეები სახშლი ტრიალებდა, ძიძის დახმარებით ოჯახს უვლიდა, ხარშავდა საჭმელს, ოთახებს ალაგებდა, ჰკერავდა, შემდეგ ჩაუჯდებოდა შვილებს, უამბობდა ზღაპრებს, წიგნებს უკითხავდა... ბევრჯელ დაღალვისაგან სახეზე ოფლი ასკდებოდა, სხეული თხოულობდა დასვენებას, მაგრამ ეს მაინც არ ჩერდებოდა და შრომას განაგრძობდა. დესიკოს გულსა და გონებაში ღრმათ ჩასწვდენოდა დედობრივი მოვალეობა, იცოდა რა ფაქიზათ, სათუთად უნდა მოჰქცეოდა ბავშვის ნორჩ-წრფელ გონებას და ხშირათ ოხრავდა, როდესაც გრძნობდა, რომ უსაშუალებობა ბევრნაირათ უკანა სწევდა მის მისწრაფებას შვილების აღზრდის შესახებ; მაგრამ მაინც არ უტყდებოდა და კვალათ გამხნევებული დაუმატებდა:

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 11

— არა უშავს-რა!.. ღმერთი მოწყალეა! . საკმარისია შვილები შევაჩვიო პატიოსან შრომას, მოთმინებას, დანარჩენი ღვთით ყველაფერი კარგათ იქნება...

— ბედნიერი დედა ხარ, დესიკო, მფარველი ანგელოზი თავს გადგია და გიფარავს ათას განსაცდელისაგან. გაიხსენე ნატო, თუნდ მართა, წარმოიდგინე მათი მდგომარეობა... შესჩურჩულებდა ხშირათ გონება.

— ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს, რომ იმათ დღეში ჩავვარდე როდისმე! თუ ჩემ ქმარ-შვილს არ უყურებ, რათ მინდა სიცოცხლე! უიმათოთ რა მიიშვნელობა აქვს ქვეყნიერებას?.. დაუმატებდა დესიკო, ამაყათ აიღებდა თავს და მიმოიხედავდა, გადახედავდა შვილებს, შემდეგ გასწევდა იმ ოთახში, სადაც ეძინა პაწია სოსოს. დესიკო კარგა ხანს აღტაცებით დასჩერებოდა მას, გონებას გამოეპასუხებოდა:

—ვინა სთქვა, რომ მე ღარიბი ვარ?.. არა, სცდებიან, მე ღარიბი არა ვარ... მე მდიდარი ვარ მით, რომ დედა ვარ... ბედნიერი დედა!..

უცბათ დესიკოს სახეზე აღტაცებასთან ზრუნვის ჩრდილი შემოერეოდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— იბრძოლე, იშრომე, ვიდრე შენ მოვალეობას შეასრულებდე!.. ვიდრე შენი შვილები აუგებენ ქვეყანას სიყვარულის, სათნოების, მეცნიერების ტაძარს...

დესიკოს აღტაცებულ გულ-გონებას მოენატრებოდა, რომ ამისი შვილები ასულიყვენ მაღალ მწვერვალზე, მათ ფერხთა ქვეშ ტანჯვით სული დაელიათ, გახრწნილიყვენ შური, მტრობა, ძალმომრეობა და უზნეობა, მეორეს მხრივ ულრუბლო ცაზე დიადათ ამოსულიყო მზე და უჩვეულო ბრწყინვალე სხივებში შეეხვია ტანჯული ქვეყანა!..

VII

მართა შეეჩვია ახალ მდგომარეობას. ბავშვები უზრუნველათ ეტიტინებოდენ და დროებით გულიდან აშორებდნენ ჯავრსა და ვარამს. მეზობლებს სოფლიდან ხშირათ მოჰქონდათ სახლის ამბავი. სიცხეს უჩვევი მართა ცხელ ზაფხულისაგან პირველში მომეტებულათ შეწუხდა, მაგრამ მერე და მერე იმასაც თითქო შეეჩვია. რძე კარგი ჰქონდა და ბავშვი ჯანსაღი იყო. დესიკოც აფასებდა მართას ღირსებას და მეტ პატივსა სცემდა. ამასობაში ზაფხული ილეოდა, ნონემ ჩამოუტანა შაქროს მშვიდობის ამბავი, მაგრამ ოჯახს ცოტა ზარალი მოსვლოდა, მაიკო ვილასაც გაჰყოლოდა და სადღაც გადაღუპულიყო. მართას ძალიან დაენანა რძალი, რომელთანაც შეჩვეული იყო და როგორც ესმოდა, შაქროს ყურს კარგად უგდებდა.

— ის თუ იქ არ იქნა, ოჯახი დაიღუპება არა!? დედა ჩემი არც კი აგებინებს შაქროს უდედობას, ეუბნებოდა ნონე.

მართას შურდა, რომ ამის შვილს სხვა დაჰპატრონებოდა.

— წინანდელი ჯამაგირით იყიდეთ რამე? ჰკითხა კარგა სიჩუმის შემდეგ მართამ, როდესაც ხედავდა რომ ნონე ჯიბეში ფულებს ილაგებდა.

— წინანდელი სულ ვალს მოუნდა, არც კი ეყო, უპასუხა ცოტა არა დარცხვენით ნონემ.

— მაშ მაგითი მაინც შეიტანე რამე სახლში. ჩემ შაქროს ქუდი წაუღე, დაუმატა მართამ. ორი კვირის შემდეგ მართა სტიროდა, ხელში ეჭირა უნცროსი მაზლის წერილი, რომელშიაც გაეგო, რომ ნონეს, როგორც წინანდელი, ისე მერე აღებული ფული სულ მთლათ გაეფანტა და ხუთიოდ მანეთის მეტი არ აეტანა შინ. ბავშვიც ტიტველი დარჩენილიყო და სთხოვდა მისთვის მაინც დროზე გაეგზავნა ტანისამოსი.

— რახან მაგისთანა უბედური ყოფილა, ფულს ნუღარ მისცემ. დაიტოვე და შენ თვითონ წაიღე, ამშვიდებდა დესიკო, მაგრამ მართას ნაღველი ამითი არ მსუბუქდებოდა, რადგან იცოდა, რო ნონეს დაბრიალებული თვალები და მოღერებული მუშტები ადვილათ არ აპატიებდენ წინააღმდეგობას. მეტი ღონე არ იყო, უნდა მართა დამორჩილებოდა თავის ბედს.

დადგა შემოდგომა და დესიკოც ფრთხილათ ცოტ-ცოტათი აჩვევდა პატარას რძესა და ქაშს, მაგიერათ ძუძუს ჯერს უკლებდა ისე, რომ ბავშვი შეუმჩნეველათ გადადიოდა საქმელზე.

— ერთი თვის უკან, ჩემო მართა, სოსოს ძუძუ აღარ დასჭირდება, უთხრა დესიკომ მართას, რომელსაც ჯერ ეწყინა, მაგრამ როდესაც გაახსენდა, რომ მალე სახლში წავიდოდა, შვილს ნახავდა, გულმა სიხარულისაგან უწყო ძალზე ძგერა.

— მაშ ჩემ შაქროსთან წავალ!!. ხშირათ ფიქრობდა მართა და ამ სურვილს დღე და ღამ თავს ევლებოდა.

— მართა, ნონე მოვიდა! დაუძახა არჩილმა ერთხელ, როდესაც მართას ჩვეულებრივათ ხელში ეჭირა სოსო და აივანზე დადიოდა. მართას სიამოვნებისაგან სახე შეუწითლდა და წავიდა ოთახისაკენ, რომ ბავშვი დედისთვის მიეცა.

— ოჰ, ნონე, რა ამბებს იტყვი?.. გულის ფანცქალით შეეკითხა სამზარეულოში სკამზე ჩამომჯდარ ქმარს მართა და ხელი ჩამოართვა.

— მშვიდობას.

— შაქრო რასა იქს!..

— რა უშავს, ფეხზე დარბის.

— უი და, და! და!.. ნეტაი კი ეხლა იქა მქნა და!.. შესძახა აღტაცებით მართამ.

— შენ როგორღა ხარ?.. საჩქაროთ მიატანა ნონემ, რომ მართას აღარაფერი ეკითხა სახლზე, რომელიც ისეც მოსწყენოდა.

— მე?.. რა მიშავს...

— ძუძუ ხომ სამყოფი გაქვს?..

— ძუძუ?.. ძუძუ ეხლა მაგდენი აღარა სჭირდება ბავშს, რადგან საქმელზე გადაჰყავთ.

— რაო?.. მაშ ძუძუს აღარ აძლევ?.. შესძახა ნონემ, რომელსაც სახეზე შიში და უკმაყოფილება დაეტყო.

— ვაძლევ, მაგრამ იმდენს აღარა. დღეში მარტო ორ-ჯერს ვაწოვებ. ქალბატონი ამბობს ერთი თვის შემდეგ სულ აღარ უნდა ძუძუო.

— გადირიე, დედაკაცო? მერე ხომ გაშრი?.. შესძახა ნონემ, რომელიც არ მოელოდა ასეთ ამბავს. წამოვარდა ზეზე, გაჩუმდა რავდენსამე ხანს და შემდეგ თითქო თავს ძალა დაატანა დამშვიდებულიყო და თავშემაგრებით უთხრა ცოლს.

— მაშ შენ აქ საქმე აღარა გქონია, უნდა წამოხვიდე!

— საქმე?! საქმე როგორ არა მაქვს?.. ჯერ ხომ კიდევ ვაძლევ ძუძუს?!.. უპასუხა შემკრთალმა მართამ.

— მართა?.. შენ თუ ძუძუ გაგშრობია, იცოდე მოუკლავი არ გადამირჩები!.. დაუმატა ნონემ, რომელსაც სიბრაზისგან ფერმა გადაჰკრა სახეზე.

მართამ თავი ჩაღუნა. ეს თითქო კიდევაც გრძნობდა, რომ წინააღმდეგობა რძე აღარა ჰქონდა და ამ ერთი თვის შემდეგ ხომ, რასაკვირველია, უფრო დაეკლდებოდა. მართა ვერ მიმხვდარიყო, რად უნდოდა ნონეს, რომ მართას რძე არ გაშრობოდა. აქედგან ხომ სახლში წავიდოდა და შაქრო კი დიდი იყო. ეხლა მას ძუძუ აღარა სჭირდებოდა!..

— ქალბატონი და ბატონი აცოცხლა ღმერთმა! წარმოსთქვა ნონემ, როდესაც ოთახში შემოვიდა, უკან მოსდევდა გაფითრებული მართა.

დესიკოს ხელში ხტოდა სოსო, ჭყოროპინობდა, დათიკო კი მისჯდომოდა მაგიდას და რაღაცას სწერდა. ამათ რომ დაინახეს ნონე გაუღიმეს, მოიკითხეს.

— ბატონო, შენიჭირიმე, მართლა მართა თქვენთვის აღარ არის საჭირო?.. იკითხა ნონემ და მორჩილებით ხელები დააჭდო ერთმანეთს, თუმცა მისი აღშფოთებული თვალები სულ წინააღმდეგს აცხადებდენ.

— ვინ გითხრა, რომ საჭირო არ არის? ბავშვი ჯერ კიდევ ძუძუსა სჭამს, უპასუხა დამშვიდებით დესიკომ.

— თუ კი საჭმელს აძლევთ, ძუძუ იმდენი რაღად დასჭირდება?.. იკითხა კვალათ ნონემ.

— მართალია, მაგრამ ძუძუს უცბად არ ვაშვებინებ ხოლმე, ერთი თვის შემდეგ მართა თავისუფალი იქნება.

— დალოცვილო და მანამ ხომ კიდევაც გაშრება!..

— შეიძლება.

— მერე ცოდო არ არის, ახალი ძუძუ რომ გაშრეს?.. ჩვენი ცოდო რათ გინდათ?..

ცოლქმარმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს, თითქო ვერ მიმხვდარიყვენ ნონეს ლაპარაკს.

— რა ცოდო, რას ამბობ კაცო?.. ჩვენ მართა ძიძათ დაგვიჭერია და მანამა გყვავს, სანამ საჭიროა. მგონი ჩვენ პირობას არ გადავსულვართ!.. უთხრა დათიკომ.

— მართალსა ბრძანებ, შენიჭირიმე, მაგრამ მეშინიან ძუძუ არ გაუშრეს, თუ კი არ გაუშრება, რა მენაღვლება, ერთი თვეც იყვეს.. მერეც წავიყვან.

— მაგის პირობას ვერ მოგცემთ, რომ ძუძუ არ გაუშრეს. ბავშვს ხელმეორეთ აღარ დავაბრუნებთ ძუძუზე და, რასაკვირველია, რძე შედგება, როდესაც ბავშვი აღარ მოსწოვს.. უთხრა დესიკომ,

— კარგი შენიჭირიმე, თქვენ კარგადა ბრძანდებოდეთ, მაგრამ რახან ასეა საქმე, სჯობს ეხლავე წავიყვანო ჩემი ცოლი.

— რაო?. რა დროს წაყვანაა კაცო, როდესაც ჯერ ძიძობა არ გაუთავებია?. შესძახა დათიკომ და წამოდგა ზეზე, დესიკოსაც წყენა დაეტყო.

— ძიძის წაყვანა არც აგრე ადვილია, ჩემო ნონე, უთხრა დესიკომ,

— წაიყვანო რა, მერე ვინ წაგაყვაინებს? შესძახა ეხლა კი გულმოსულმა დათიკომ და მთლა გაწითლდა.

— დალოცვილო, ჩემი ცოლი, ჩემი ნებაა, ხომ არ გიყიდნიათ!. თუ ძიძათ გინდოდეთ, ხომ ძიძათაც იქნებოდა ეხლა, რაღასთვის უნდა გაჩერდეს და ტყუილათ ძუძუ გაიშროს?

— აგრე ძალიან რათ უფრთხილდები მაგის ძუძუს?.. სახლში არ მიგყავს?..

— სახლში რომ წავიყვანო, რა უნდა გამირიგოს!. აი ეხლაც შემომხვდა დალალი დედაკაცი, რომელმაც მკითხა ძიძა ხომ არ იცი, ადგილია და თხუთმეტ მანეთს იძლევიანო.. ამის გაგონებაზე სასოწარკვეთილებაში შესული მართა უიმედო დაეშვა სკამზე და ანგარიშ მიუცემლათ იწყო პირდაპირ ყურება.. ეს თითქო ვეღარას ხედავდა, ყურს უგდებდა ძალზე აკვნესებულ გულს, რომელიც შინისკენ ეწეოდა. ამას ხელიდან ეცლებოდა დიდიხნის ნატვრა: შაქროს ჯერ კიდევ ვერ ნახავდა!..

— ეგ სხვაა, თუ ადგილზე აყენებ. რასაკვირველია ეხლავე გიჯობს წაიყვანო, უთხრა დათიკომ, რომელსაც სიბრაზემ გაუარა და კარგა ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა, რომ არა ღირდა აქ ძალის გამოჩენა.

— რას იტყვი, დესიკო, წაიყვანოს?.. ჰკითხა ამან ცოლს.

— წაიყვანოს, მაინც-და-მაინც სოსოსთვის ძუძუ ძალიან საჭირო არ არის, უპასუხა დესიკომ.

— მართა, მაშ წაჰყე შენ ქმარს. თავისუფალი ხარ.. უთხრა დათიკომ მართას და არც კი შეხედა. დესიკო კი დაკვირვებით უყურებდა გაჩუმებულ მართას, რომელსაც ტუჩები უთრთოდნენ, თვალები ძირს დაეხარა.. მაგრამ როდესაც გაიგონა დათიკოს უკანასკნელი სიტყვები, მან აიღო მაღლა თავი და განწირულებით მიაჩერდა ქმარს, რომელიც შუბლ შეკრული იდგა.

— ნონე, მე ახალ ადგილზე არ წამოვალ.. თუ წამიყვან, სახლში წამიყვანე, თუ არა და ისევ აქ დავრჩები!.. წარმოსთქვა მან ათრთოლებულის ხმით და უფრო გაფითრდა..

ნონემ გაოცებით შეხედა ცოლს, თითქო უკვირდა, არ ეჯერა თუ მართა უბედავდა წინააღმდეგობის გამოცხადებას.. ნონეს თვალებმა საშიშრათ გაიელვეს, მან ტუჩები მაგრა მოკუმა და ხმა არ გასცა, ცხადათ ეტყობოდა ღელავდა, და ცდილობდა თავს მორეოდა და დამშვიდებულიყო...

— გაგვისწორდით, ბატონო, თუ გვერგება რამე.. გვიბოძეთ... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დაილაპარაკა ნონემ..

— ჯამაგირი წინ-და-წინა გაქვთ წაღებული, ეი მანეთი კიდევ გერგებათ.. უთხრა ციცათ დათიკომ და გადასცა ფული ნონეს, რომელიც წელნელა, ზანტათ გამოვიდა ოთახიდგან.. მართა იდგა დესიკოს წინ და ცხარე ცრემლით სტიროდა.

— შენ გენაცვალე, ქალბატონო, ჩემგან ნუ გეწყინება.. მე რომ შემეძლოს, დავრჩებოდი, სანამ საჭირო ვიყავი, მაგრამ რა ვქნა მე უბედურმა.. მეგონა აქედგან სახლში წამიყვანდა.. ვეღირსებოდი შვილის ნახვას.. მაგიერათ კიდევ სადღაც მიმათრევს.. ეჰ, ვითომც მეც დედა ვარ!.. ვითომც მეც შვილი მყავს.. ქვითინებდა მართა..

— ნუ წაჰყვები ახალ ადგილზე, თუ კი არ გინდა: ნუთუ შენც ადამიანი არა ხარ, მართა?. ნუ თუ შენც უფლება არა გაქვს, რომ შენი თავი დაიცვა?! ნუ წაჰყვები, მაგიერად სახლში წადი?.. ამბობდა გულმოსული, აღშფოთებული დესიკო, რომელსაც თანაგრძნობის ცრემლები უკრთოდნენ თვალებში.

— ვინ გამიგონებს?.. ქვითინებდა მართა.. ნონე კი მოუთმენლად ელოდა კარებზე მართას, რომ დროზე ან ახალ ადგილზე წაეყვანა, ან კარდაკარ ეტარებინა.

აწასტასია ერისთავ-ხოშტარია.



ამერიკელ სოციალისტების პარტიაგიდან.

ამ ზაფხულის დამდეგს ამერიკელ სოციალისტურ პარტიამ (socialist party) ქალაქ ჩიკაგოში მოახდინა თავისი მორიგი კონგრესი, რომელსაც დასწერენ 218 დელეგატი, გამოგზავნილი უნიონის სხვა და სხვა ადგილებიდან, რომელთა შორის ოგრეთვე ერთი წევრი—დელეგატიც კალიფორნიიდან ერია. ამერიკაში, გარდა სოციალისტურ პარტიისა, არსებობენ კიდევ უცხო ენაზე მოლაპარაკე **დამოუკიდებელი პარტიული** ორგანიზაციები, როგორიცაა მაგ., იტალიანური 1,084 პარტიული წევრით, და ამერიკელი სოციალისტური მუშათა პარტია. მათი სავსებითი შეკავშირება ჯერ-ჯერობით არ მომხდარა, თუმცა კლასთა ბრძოლის საჭიროება ყველა ამ პირტიებისაგან აღიარებული არის და ამერიკელი მუშათა კლასის დიდ გამოსვლებში მათი მოქმედება ყოველთვის შეთანხმებული და შეერთებულია. უდიდეს და უძლიერეს სოციალისტურ პარტიათ „სოშალისტ პარტი“ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ პარტიის ორგანიზაციები და გავლენა მუშათა კლასზე ძლიერია და ყველა დანარჩენ პარტიებს წინ უსწრებს. პარტიის სეკრეტარი ბაინერი თავის მოხსენებაში გვამცნებს, თუ როგორი სისწრაფით და ჩქარი ნაბიჯით იზრდებოდა და ვითარდებოდა „სოციალისტური პარტია“. მაგ. 1903 წელს მთელ შეერთებულ შტატებში პარტიულ წევრთა რიცხვს მხოლოდ 15,975 სული შეადგენდა, 1904 წ. 20,763, 1905 წ.—23,327, 1906 წ.—26,784, 1907 წ.—29,760. ეხლა კი მაისის 1908 წლის გამოანგარიშება მეტად სასიხარულო და სასურველ რიცხვს იძლევა; რიცხვი პარტიულ ორგანიზაციებისა უდრის 2,076, პარტიულ წევრთა კი—40,398. კრების უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო სამი საკითხის გადაჭრისაკენ, რომელთა სიდიადე და დაუყონებლივი ახსნა-განმარტების საჭიროება ყველასათვის აშკარა იყო. საკითხები ეხებოდენ პროფესიონალურ კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულებას, მასიურ გადმოსახლებას და წვრილ გლეხთათვის რაიმე საშუალების მიწოდებას მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვამ პარტიის და პროფესიონალურ კავშირთა ურთიერთ განწყობილების შესახებ ხანგრძლივი და აღელვებული კამათი გამოიწვია. დელეგატთა ერთი ნაწილი თხოულობდა პროფესიონალურ კავშირთა შესახებ კითხვის სრულიათ უყურადღებოთ დატოვებას იმ მოსაზრებით, რომ პარტიის აგიტაცია—პროპაგანდა მიმართულია როგორც ორგანიზაციულათ შეკავშირებულ, ისე ორგანიზაციის გარეშე მყოფ მუშებისადმი. უმრავლესობა კი დაჟინებით ითხოვდა პარტაიტაგის მიერ აზრის წარმოთქმას „ინდუსტრიალურ“ კავშირთა სასარგებლოთ. თუ ის არ იყო საეჭვო, რომ უმრავლესობა „ინდუსტრიალურ“ ორგანიზაციებს მიიჩნევდა პროფ. ორგანიზაციების საუკეთესო და მიზან-შეფარდებულ ფორმათ, არც ის იყო მოსალოდნელი, რომ იგივე უმრავლესობა, ინდუსტრიალურ საფუძველზე აღმოცენებულ ორგანიზაციებისადმი თავის სიმპატიის გამოცხადებით, ეცდებოდა უკუ ეგდო უკვე არსებული „ხელობის“ პრინციპზე აგებული ორგანიზაციები, როგორიც არის მაგ. ფედერაცია ot Labor,—ეს უდიდეს და უძლიერესი ორგანიზაცია მთელ ამერიკაში. რაც შეეხება პროფესიონალურ კავშირთა დამოუკიდებლობის საჭიროებას, მის არა პარტიულ ორგანიზაციათ გამოცხადებას,—ეს არავისთვის არ იყო საეჭვო და საკამათო. ამ აზრით იყო დაწერილი ამერიკელ მუშათა მიმართ ადრესიც, რომელიც მიღებულ იყო 138 ხმით წინააღმდეგ 48 ხმისა. აი, ადრესის დედა-აზრიც:

„ორგანიზაციული მუშათა მოძრაობა არის ბუნებრივი, ლოდიკური შედეგი კაპიტალისტურ წარმოებისა, მიუცილებელი ნაყოფი კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშათა შორის არსებულ წინააღმდეგობისა.

„სოციალისტური პარტია“ სცნობს პროფესიონალურ მოძრაობის დამოუკიდებლობის საჭიროებას ეკონომიურ ნიადაგზე, ისევე როგორც იცავს თავის დამოუკიდებლობას პოლიტიკურ ნიადაგზე. მეორე მხრით, ის დარწმუნებულია, რომ სხვა და სხვა გვარ ორგანიზაციულ ფორმით შეკავშირებულ მუშებს ცხოვრება სულ მალე წარმოაშობიებს და მიაღებიებს ერთიან მიმდინარეობას. აგრეთვე, უკვე განმეორებით მომხდარი შეერთებული გამოსვლები პროფესიონალურ კავშირების და

„სოციალისტურ პარტიისა“, აძლევს პარტიას იმედს, შეურყეველ საფუძველს, რომ ახლო მომავალში სასურველი უფრო მჭიდრო შეკავშირება-სოლიდარობა სხვა და სხვა პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებისა განხორციელდება. დავიწყებული არ უნდა იქნას, რომ ორივე მოძრაობის შტო ერთი და იგივე მიზნისკენ მიისწრაფვის: მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ. „სოციალისტური პარტია“ მხარს უჭერს ორგანიზაციულათ შეკავშირებულ მუშებს თავის ბრძოლაში კაპიტალისტურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ და შემდეგშიაც მათთან ერთათ იბრძოლებს ყველა იმ მისწრაფებათა განსახორციელებელათ, რომლებს მიზნათ აქვს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება და კაპიტალისტურ წარმოების უკუღმართობის აღმოფხვრა—განადგურება“.

მ. მგალობლიშვილი.

(შემდეგი იქნება).

პროვინცია.

სოფლათ. დღევანდელმა არა ნორმალურმა პირობებმა ძალზე განავითარა საერთოთ რუსეთში, და კერძოთ კავკასიაში შანტაჟისტობა. შანტაჟისტობამ ფეხი მოიდგა ჩვენში და თან-და-თანობით განვითარდა მას შემდეგ, რაც ცეცხლითა და მახვილით რეაქციამ განამთავისუფლებელი მოძრაობა შეაფერხა. ხალხის ძალების დამარცხებამ ფრთები შეასხა ცუდ-კაცობას და შანტაჟისტობას; ცხოვრების სცენაზე ამ უკანასკნელ წლებში ერთის მხრით ხალხის ყელში თოკის მოსაჭერათ გამოვიდენ ხუცებ-ბერები და თავად-აზნაურნი, მეორეს მხრით ხალხის საბოლოო ასაწიოკ-ასაოხრებლათ ქურდ-ბაცაც-შანტაჟისტები. შანტაჟისტებმა აიკლეს ჩვენი ქვეყანა, შანტაჟისტები მტრათ გამოუჩდენ ჩვენში მომქმედ პარტიებს და მათი სიწმინდის ურცხვათ ფეხ-ქვეშ გათელვას ცდილობენ. ერთ გურულ გლეხს გვარად **ჩიგოგიძეს** (ამ გლეხის ქონება 150 მანეთს არ აღემატება) მიუღია ბარათი შანტაჟისტებიდან. —„შენ კომიტეტის გადაწყვეტილებით 50 მ. უნდა „ჩამოყაჭო“ ჩვენს სასარგებლოთ, თორემ სამ დღეში მოგკლავთო“. საცოდავი გლეხი შეცდილა ხარეგის გაყიდვას შანტაჟისტთა დასაკმაყოფილებლათ, მაგრამ თავის სოფლის გონიერ ყმაწვილთა რჩევით ხარეგის გაყიდვისათვის თავი დაუნებებია. გლეხი შიშით არის შეწუხებული, მის ოჯახს შანტაჟისტთა აოხრებისაგან ღამ-ღამობით ახალგაზრდა ყმაწვილები იცავენ.—სამეგრელოს ერთ სოფელში გლეხ კვარცხალიას ბარათი მოსვლია შანტაჟისტებისგან: „30 მანეთი დაამზადე ამ ორ დღეში, და ამა და ამ ქვის ქვეშ ამოდეები, მოვალთ და წავიღებთ, თუ არ შეასრულებ ჩვენ წინადადებას სიკვდილი და შენი ჯანიო“. გლეხს არ მიუქცევია ამ ბარათისათვის ყურადღება. შანტაჟისტები მესამე ღამეს მისულან ამ ურჩ გლეხთან, აუწიოკებიათ მისი ოჯახი, მძიმეთ გაულახავთ გლეხი, და რაც ხიბაკ-ხუბაკი უნახავთ ქოხში წაუღიათ.—აი, ასეთი მაგალითებით სავსეა ჩვენი ცხოვრება. ჩვენი საზოგადოება და პრესა მარად გაიძახის ამ სამწუხარო მოვლენაზე, მაგრამ ჯერ ხანად ამ მოვლენის აღმოსაფხვრელათ არავითარი ზომები არაა მიღებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გურიის საზოგადოებათა დადგენილებებს მთავრობის ნებართვით შეერთდენ ამ სენის აღმოსაფხვრელათ, მართონ კრებები, და მჭიდრო შეკავშირებული ძალით ებრძოლონ შანტაჟისტებს. რამდენად რადიკალურია ეს საშუალება, ამის გარჩევაში არ შევალ. მხოლოთ ვიტყვი, რომ შანტაჟისტობა ბოროტებაა და როგორც ბოროტება ის ითხოვს ჩვენგან დიდ ყურადღებას და ბრძოლათ.

ილია ბახტაძე.

ყალამშია (ბორჩალოს მაზრა). თრიალეთის მთების ერთ ერთ კალთაზე მოთავსებულია სოფ. ყალამშია, რომელშიაც ითვლება 48 კომლი მცხოვრები. თუ მხედველობაში არ მივიღეთ თითქმის მასზე გადაბმული სოფ. მიჯა, მთელი ყალამშია გარშემორტყმულია თათრების სოფლებითა. მიუხედავათ იმისა, რომ ყალამშიელი მომეტებულ ნაწილს თავის სიცოცხლისას თათრებში ატარებს, მას წმინდათ შეუნახავს ქართული ენა და ჩვეულებები. ქართველებთან აკავშირებს მას წარსული და არა ერთხელ და ორჯელ დაიჩივლებს ყალამშიელი, რომ დანარჩენ საქართველოს ჩამოშორებულია, რომ მასთან ერთად არა ცხოვრობს. ისინი „ობლებს“ ეძახიან თავის თავს. დიახ ყალამშიელები მწარეთ უჩივიან იმ სინამდვილეს, რომელსაც გადმოუტყორცნია ესენი საქართველოს გულიდან, შუა ქართლიდან, ბორჩალოს მაზრაში. ეს სინამდვილე კი იყო მძიმე უღელი ბატონყმობისა, რომელსაც გამოჰქცევია და აქ ყალამშიაში უპოვია ვითომდა უფრო ადვილათ ასატანი ბატონის უღელი. როგორც მოხუცი ყალამშიელები გადმოგვცემენ, მათი მამა-პაპანი კავთისხევიდან და მის მახლობელ სოფლებიდგან არიან მოსულნი. აქ მიუტყუებიათ ბატონებს, მიუციათ სახნავი ადგილები, რომლიდანაც იხდიდენ მოსავლის მეათედს- საძოვარი ადგილები, სათიბი, ტყე მუქთათ ჰქონიათ სულ დათმობილი. ეს პირველ ხანებში, რასაკვირველია. როდესაც ფეხი მოუკიდნიათ ადგილზე და დაუტყვიათ ბატონებს, რომ ყალამშიელებს მათ იქით გზა აღარა აქვთ, იჯარას, რასაკვირველია, უმატნია, ჯერ ნაექვლაზე და მერე ნაოთხლაზე ჩამოუყვანიათ. ესეც არ უკმარებიათ მათთვის: ჭინახული ფულათ უქცევიათ. ხნიანი გლეხები ამბობენ, რომ თავდაპირველათ ათი თუმანი უძლევიათ იჯარის ფულში, მერე თანდათანობით უმატებდენ და ეხლა იმავე მამულში 2000 მან. იხდიან იჯარის ფულათ. ამნაირი იჯარის მომატებამ იმ გარამოებამ შეუწყო ხელი, რომ

თრიალეთის ნაწილს მარტო ქართველები კი არ ეტანებოდნენ. იქით მიილტოდენ ნემცები, ლუხაბორები, მალაკანები და სხვები. დაიბადა მამულების კონკურენცია. ბატონებმა თავის სასარგებლოთ გამოიყენეს ეს გარეემობა და აქაურ გლეხებს თითქმის აუტანელი ფული შეაწერეს. მართლაც, მარტო სახნავ სათესში 2000 მან. 48 კომლისათვის, დიახაც რომ ძნელი გადასახდელია. და აი ყალამშელები ამის გამო სულ უკან და უკან მიდიან ეკონომიურათ, ქონებრივათ. საშინელ სურათს წარმოადგენდა ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ყალამშია. როგორც საერთოთ რუსეთში, აქაც თითქმის არ მოდიოდა მოსავალი. გლეხებმა, რაც რამე კი ჰქონდათ, ყველაფერი გაყიდეს, რომ სიმშილით არ დახოცილიყვნენ: შინაური ავეჯულობა, ლოგინი. რადგანაც ბატონი თავისას არ იშლიდა, იმის იჯარის ფულში კიდევ საქონელს დაუწყეს ყიდვა, თუმცა წელიწად ნახევრის იჯარის ფული ისევ გადასახდელი აქვთ. გლეხები დავალიანდენ. ადგილოვბრივმა „მევახშეებმა“ მაგრა ჩაავლეს მათ ხელი და თუმცა წლეულ გვარიანი მოსავალია, მაგრამ არა გვგონია, რომ ეხლაც გაიძღონ გლეხებმა კუჭები, რადგან მოსავალი იჯარის ფულსა და ვალებს ვერ აუვა- ამნაირათ მოუჭრათ გლეხებს გზა ეკონომიურათ წინსვლისა და ვინ იცის მომავალი რას უქადის მათ.

როგორც სხვაგან, აქაც აღძრეს ლაპარაკი საგლეხო ბანკის შემწეობით მამულების შეძენის შესახებ. მაგრამ დალოცვილებმა იმისთანა ფასი დაადეს ამ ხრიაკ ადგილებს (დესეტ. 60 მან.), რომ ისევ 200 თუმნის ძლევა ირჩიეს გლეხებმა, რადგან, თუ ამ ფასში შეიძინეს გლეხებმა მამული, იჯარის ფულს ზედ მეტი თუმნები ეკეცება, რომლის მიცემას ისინი ვერ შესძლებენ და ადრე თუ გვიან მამული ისევ ბანკს დარჩება და უკანასკნელი გაუხდება მათ ბატონათ. „რაკი ბატონი აუცილებელია, ლაპარაკობენ გლეხები, ისევ იმას ვაძლიოთ, რომლის შენახვა უფრო ნაკლებ ფასში დაგვიჯდებაო“. მარა საქმეს მეორე მხარეცა აქვს. თურმე მებატონე სხვა მყიდველებს ეძებს და იმ გლეხებს კი, რომლებმაც უხსოვარ დროიდან თავისი სისხლი და ოფლი ჩაღვარეს შიგ, ქვიშაზე უპირებენ დატოვებას. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ ყალამშიელების საქმეს გამოსავალი აღარც კი დაურჩება. „წახდა, წახდა გლეხკაცი“ ყოველ სოფლის ყრილობაზე გაიძახიან ყალამშიელები და, მგონი, აზრს არ უნდა იყოს მოკლებული მათი სიტყვები.

ყალამშიაში წ. კ. გ. ს. სკოლაა. თუმცა წინათ ყალამშიელები ძალიან უნდობლათ ეკიდებოდენ სკოლას, ეხლა კი შეიგნეს მისი მნიშვნელობა და შეიყვარეს კიდეც. რადგანაც საკუთარი შენობა არა აქვს სკოლას და უკანასკნელი კი მოთავსებული იყო შეუფერებელ ადგილას, ამიტომ ყალამშიელებმა გადასწყვიტეს დაუთმონ სკოლას სასოფლო დუქანი თავისი ეზოთი: თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყალამშიელებს ამ დუქნიდან წელიწადში 25 თუმ. მეტი შემოჰდიოდათ, უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს წვლილი მათის მხრივ საგრძნობელია. დუქანი უნდა მოიშალოს და მის მაგივრათ აიგოს სასკოლე შენობა. შენობის აშენება კი დაპირდა წ. კ. საზოგადოებას ნიკოლოზ კეზელი, რომელიც როგორც, ვავიგეთ, სექტემბრის პირველ რიცხვებში აპირებს შენობის აგების დაწყებას.

ნაძირალები აქაც. მოიპოვებიან იგრედაც გაჭირვებულ, დატანჯულ ხალხს ჰპარავენ საქონელს და თათრებში ასაღებენ. ამათი წინამძღოლი და უსტაბაში ადგილობრივი მცხოვრები—ვანო ყურდუაშვილია, რომელსაც მღვდლის ცხენის მოპარვაზე მოასწრეს და თოფით გააგდებინეს. ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა აქაური გლეხობა, რადგან მათ ძალიან უყვართ მათთან ჭირში და ლხინში მყოფი მღვდელი დ. ქოქიაშვილი და მისი ცხენის მოპარვის განზრახვა მთელი სოფლის შერცხვენათ და შეურაცყოფათ მიაჩნიათ.

ყალამშიელი.

დედა,

როგორც აღმზრდელი.

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან*) **სვ. კანდ—ისა.**

III

არ უნდა სცემო.

ერიდე, პროლეტარის დედავ, ჯოხის და წკეპლის მეგობრობას! ისინი არ არიან ერთგული მეგობრები. მხოლოთ აღელვების და გულმოსულობის დროს მათი საშუალებით შენ იმარჯვებ ბავშვებზე, მაგრამ ასეთი გამარჯვება ნამდვილათ კი ფოკუს წარმოადგენს, რადგან მას შემდეგში საშინელი ვნება მოაქვს. მე ეს კარგათ მესმის, როცა დაღლილი, დაქანცული, მშრომელი დედაკაცი მხოლოთ ჯოხში ხედავს ერთად-ერთ საშუალებას, რომ თავისი ხუთი, ექვსი ბავშვი დააწყნაროს. უკეთესი საშუალება მან არ იცის, რადგან თვითონაც ასეა აღზრდილი და მისი ნაცნობებიც ასე იქცევიან. ამასთანავე, ცემის საკმაო კერძიც ამშვიდებს ეშმაკ ბავშებს! მაგრამ ეს მხოლოთ დროებითია. ჯოხი ვერ დააჯერებს, ჭკუას ვერ ასწავლის ბავშს. ჯოხისაგან მხოლოდ ტკივილს იგრძნობს ბავში, მაგრამ ადვილათ დასძლევს ამას. ბავშს ბევრი თავისუფალი გრძნობები აქვს. ეს ჩვენ უნდა გვახსოვდეს და მზათ უნდა ვიყოთ ასეთი თავისუფალ ოპოზიციურ გრძნობას კარგათ გაუძღვეთ და სისწორით წინ წავიყვანოთ. ხოლო ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ ბავშს ყველაფრის ნება უნდა ქონდეს. არა, ბავშიც თავიდანვე უნდა შეეჩვიოს იმას, რაც ოჯახის ყველა წევრების ინტერესს შეადგენს: პატივით და ყურადღებით მოეპყრას დადგენილ და ყველა საოჯახო კანონებს. და ბარბაროსულ ცემით კი ვერ შევაჩვევთ ჩვენ ბავშს დაემორ-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 11.

ჩილოს საყოველთაო სიკეთეს. სხვა საშუალებებიცაა, რომელნიც უფრო მოქმედებენ, ვინემ ცემა-ტყეპა და არც ისეთი ცუდი შედეგები მოყვება, როგორც ამას ჯოხის საშუალებით ჩვენ მონათ ვზრდით ბავშებს. ვინც ბავშობაში ჯოხის შიშს შეჩვევია, მას დიდობაშიაც ეშინია მისი, იქნება იგი პოლიციის კეტი, საზოგადოების წკეპლა, თუ კაპიტალისტის მათრახი. ვისაც ბავშობაში თავის ღირსება დახშული აქვს, ის შემდეგში გაბატონებულ კლასის ულირს საგანს შეადგენს და არცხვენს თავის თავს. ჩვენ გვინდა ჩვენი ბავშები დამოუკიდებელი, თავის თავით დაიმედებული ხასიათი შევქმნათ. ჩვენ გვინდა მათ არავითარი შიში არ ქონდეთ ადამიანთა წინაშე. ჩვენ გვინდა ისინი თავისუფლებისთვის და კაცობრიობის ღირსებებისთვის იბრძოდენ. ამისთვის ძირს ჯოხი და წკეპლა!

IV

შეაჩვიე შენი ბავში სწორე ლაპარაკს.

შენი პაწია ბავში ბუტბუტებს რაღაცეებს. შენ კი გგონია; რომ ეს სიტყვებია, რომლებიც პაწია წითელ, ორ მარგალიტ კბილებიან ტუჩებიდან ხმიანობენ. შენ ამტკიცებ, რომ ბავში ლაპარაკობს მკაფიოთ „დედას“; მაგრამ შენი იჭვიანი ქმარი გედავება ამის შესახებ და ირწმუნება, რომ ბავში ლაპარაკობს გარკვევით „მამას“. და აი თქვენ ორივე მხრიდან აკვანზე დახრილი ჩასკვერით ბავშს და ცბიერ გულმოსულობით სჯით ერთი-მეორეს თქვენ მშობლიურ ბედნიერებაში, მაგრამ დაისწავლე მალე, უკეთესათ გაარჩიო, რას ლაპარაკობს შენი ბავში. მისი პაწია თვალები დღითი-დღე უფრო ჭკვიანურათ უყურებენ ქვეყნიერებას და ეს პატარა ვარდის მგზავსი ყურები იჭერენ გარეშემო ხმეებს. მისი თვალები შესკვერიან საათის ისარს და შენც თან იმეორებ: „ტიკ ტაკ, ტიკ ტაკ“. ან მახლობლათ შიხმაურობს ელექტრონის ტრამვაი ჩქარი ზარის წკარუნით და შენ ეუბნები: „უყურე, როგორ იძახის? პინგ პინგ!“ ან გარეთ ჰყეფს ძაღლი და როცა პატარა თვალები ირგვლივ ეძებენ, შენ უპასუხებ: „გესმის? ვაუ ვაუ, ვაუ ვაუ.“ ნელ-ნელა სწავლობს პატარა არსება გარეშემო საგნებზე თავის ხმის ორგანო მოიხმაროს. ნელ-ნელა და ინსტიქტიურათ სწავლობს ბავში ენას, როგორც შემაერთებელი ასოს თავის და გარეშემო საგნების საცნობათ. თუ პირველი ხანა დასძლია ბავშმა, მაშინ წინ მიქროლავს ის გიგანტის ნაბიჯით. ყველაფერი სურს დაისწავლოს, ყველა საგნებს, რასაც ის ხედავს ესმის და გრძნობს, აძლევს სახელებს. აი, აქ შეგიძლია შენ, ახალგაზდა დედავ, ბავშის დიდი თანაშემწე გახდე. მიდი სწავლის წადილით, პაწია არსებას დაეხმარო. საგნები, რომლებისთვისაც ის თხოულობს სახელებს, დაუსახელე უბრალოთ, მაგრამ წმინდა და სწორ სიტყვებით. მიეცი ბავშს საბაბი ტუჩებზე გიყუროს, როცა შენ მას სიტყვას უკარნახებ. პირველათ ყოვლისა ნუ ჩაიდენ ბევრი მშობლების დიდ და პატარა შეცდომებს: ზოგიერთ მშობლებს უხარია, თუ მათ ბავშს ბევრ საგნებისთვის თავისი, საკუთრათ შედგენილი სიტყვები აქვს და ბევრ სიტყვებს შესაქცევ, არა სწორ სახით გამოთქვამს. ასეთი ჩვეულება ადრინდელ ახალგაზდობისა, ხშირათ ადამიანს მთელ თავის ცხოვრებაში შერჩება.

ჰენრიხ შულცე.

(შემდეგი იქნება).

შემდეგი №-დან დაიბეჭდება
ივ. გომართელის ახალი პიესა.

წერილი რედაქციის მიმართ.

სწორეთ ახირებული ჩვეულება აქვთ ზოგიერთ დიდი-ჯიხაიშელ ინტელიგენტებს. თუ კი რაიმე მათზე დაიწერა, იმის მაგიერ რომ თავი იმართლონ მკითხველების წინაშე, მოყვებიან ლანძღვა-გინებას და ავტორის ძებნას. გაზეთების კარი ყველასათვის ღიაა, შეუძლიათ და სრული ნება აქვთ მათ, უბრალო ლანძღვას პასუხი გასცენ, რიგიან და მასთან ინტელიგენტურ საშუალებას არ მიმართავენ. ავტორისადმი მუქარა იმ მიზნით, რომ შემდეგ. მათზე წერა ვერ გაბედონ ვერაა კარგი საქციელი. ეს წერილი გამოიწვია თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-№ 9-ში დიდი-ჯიხაიშიდან მოთვისებულმა პატარა წერილმა, რომლის ავტორობა ზოგიერთებმა მე დამწამეს. უმორჩილესათ გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ზემო დასახელებულ წერილის ავტორი მე არ ვარ. *)

დ. ნემსაძე.

*) მე-№ 9-ში დიდ-ჯიხაიშიდან მოწერილ ამბავის ავტორი არ არის ბ-ნი დ. ნემსაძე. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ანთ. გორგობიანი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ		7 მ.	— კ.
ნახევარ წლით	—	—	3 მ. — კ.
სამი თვით	—	—	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით		7 მ.	— კ.
ნახევარ წლით	—	—	4 მ. — კ.
სამი თვით	—	—	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадатовъ) Рахиль Каландадзе.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება ვანქის ქუჩაზე № 12, ზემო სართულში

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკასა № 1.